წლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კაკოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურისა 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

ხუთშაბათი, 6 მაისი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 100 (1555)

დ ღ ი უ რ ი

- — ესპანეთ-საფრანგეთის მოლაპარაკება [illegible].
- — ოსმალეთის მთავრობამ აკრძალა [illegible] ნიურის და სხვა ძვირფასი სასმელების [illegible].
- — იტალიაში უშვებენ ფულის ნიშნების გამოშვებას მუსოლინის სურათით.
- — შვეციის მუშათა დელეგაცია მოსკოვიდან გამოემგზავრა ამიერ-კავკასიისაკენ.
- — რაჭაში მდ. ჯეჯორაზე შეუდგენ ჰიდროელსადგურის აგებას.
- — 25 მაისს ლენინაკანში გაიხსნება ა.-კავკ. რკინის გზელთა მე-6 კონფერენცია.

„კომუნისტი“
გრძელდება ხელის მოწერა
მაისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34, ტელეფ. 10—49

დიდი ამბები ინგლისში

4½ მილიონი გაფიცული მუშა. საყოველთაო გაფიცვა. ინგლისში სამხედრო მდგომარეობაზე. მუშების წინააღმდეგ ჯარების, ფლოტის და საჰაერო ფლოტის მობილიზაცია. შემოღებულია ცენზურა. ფეხზე სდგას პოლიცია. უცბათ ეწყობა ფაშისტური ორგანიზაცია. ინგლისის პრემიერი გაჰყვირის მთელ ქვეყანაზე, რომ იწყება სამოქალაქო ომი.

„ჩვენს ქვეყანაში ჩვენ არ დაუშვებთ საბჭოებს“ ასეთია ინგლისის ბურჟუაზიის ლოზუნგი.

მუშები აღსდგენ ჯერ არ ნახული ენტუზიაზმით. გასროლილია ლოზუნგი მოქმედების კომიტეტების დაარსებისათვის. ლაპარაკობენ მუშათა რაზმების შედგენის აუცილებლობაზე. მასებში ბრძოლის განწყობილებაა. პირველსავე ნაბიჯზე მუშები იჩენენ დისციპლინას.

ჭეშმარიტად დიდი ამბები ხდება.

მუშების დიდი ბრძოლა დაიწყო, როგორც ეკონომიური გაფიცვა, მაგრამ თავიდანვე, რასაკვირველია, ღრმა—პოლიტიკური ხასიათი მიიღო.

რაც არ უნდა მოხდეს შემდეგ, როგორც არ უნდა განვითარდეს შემდეგ ეს ამბები, ერთი ცხადია: ის რაც უკვე მოხდა დიდ ბრიტანეთში, ახალ ხანას იწყებს ინგლისის და საერთაშორისო მუშათა მოძრობის ისტორიაში.

არ არის ქვეყანაზე ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ინგლისის პროლეტარიატის ავანგარდის ბოლშევიზაციის შეჩერება, მუშათა კლასის გარევოლიუციონერება და ინგლისის მუშებში კომუნისტური იდეების ზრდის შეჩერება. მხოლოდ ეს ერთი არის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მქონე.

უდიდესი საფრთხე, რომელიც მოელის ამ დიდ მოძრაობას ეს არის—საფრთხე პროფკავშირების მემარცხენე ბელადებისა და მუშათა პარტიის მემარჯვენე ბელადების მხრით.

ეჭვი არაა, რომ მემარჯვენე ბელადების ნაწილს, რომლებიც „მეთაურობენ“ დღეს ამ მოძრაობას, განზრახვა აქვთ პირველ შემთხვევისთანავე გასცენ ის.

კომუნისტები ვალდებული არიან ილაპარაკონ ამის შესახებ ხმამაღლა სახელდობრ დღეს, როდესაც ერთი შეხედვით მემარჯვენე ძალების რიგებში თითქოს ერთსულოვნებაა.

ყველა ქვეყნის კომუნისტებმა ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინონ ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს, როდესაც ეს უკანასკნელნი გამოხატავენ მუშების ნება-სურვილს. გაფრთხილებით კრიტიკისა და კამპანიის წინააღმდეგ—ინგლისის მუშები, რომლებმაც დაიწყეს ასეთი დიდი და საპასუხისმგებლო ბრძოლა, კომუნისტები ვალდებული არიან გააფრთხილონ.

უდიდესი ყურადღებით და გულის ფანცქალით ადევნებენ თვალყურს ყველა ქვეყნის მუშები, თუ როგორ განვითარდება ინგლისის ამბები, და ისინი ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენენ ინგლისის პროლეტარიატის ავანგარდს დაწყებული მოძრაობა უფრო მაღლა აიყვანოს და მდგომარეობის მომწიფებისდა მიხედვით უფრო და უფრო ფართო ლოზუნგები გადისროლოს.

კომუნისტები ბოლომდის შეასრულებენ თავის მოვალეობას.

გ. ზინოვიევი.

გაზეთი და მომჭირნეობა

უდავოა, რომ მომჭირნეობის რეჟიმის საქმეში პრესა ერთ-ერთ უძლიერეს იარაღს წარმოადგენს. ამიტომ ბუნებრივად ისმება კითხვა: როგორ და რა საშუალებით უნდა იბრძოლოს გაზეთმა ეკონომიის რეჟიმის განმტკიცებისათვის. ამის გათვალისწინება აუცილებელია არა მარტო თვით გაზეთის მუშაკებისათვის, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია; საბჭოთა დაწესებულება - წარმოებებისათვის და მკითხველი მშრომელი მასისათვის, რომელნიც უახლოეს მონაწილეობას უნდა ღებულობდენ პარტიის მიერ დასახულ სადღეისო მნიშვნელოვან ამოცანის გადაჭრაში.

ორიოდე კვირის წინად გამოქვეყნებულ პარტიის ცირკულიარულ წერილში ეკონომიის რეჟიმის შესახებ, რომელსაც ხელს აწერდენ ამხანაგები სტალინი და კუიბიშევი, ჩვენ ვკითხულობთ:

„კამპანიის ჩატარებელ ორგანიზაციების კონკრეტულ ამოცანას წარმოადგენს: 1) მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლაში საბჭოთა, პროფესიულ. კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების ჩაბმა; **2) პრესაში უყაირათობის, ზედმეტ ხელგაშლილობის და მფლანგველობის ფაქტების ფართოდ მხილება, მიუხედავათ იმისა, თუ რა თანმდებობა უკავია პასუხისმგებელ პირებს“.**

ამ რიგად გაზეთის ერთ მთავარ მოვალეობათ მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში მიჩნეულია ყოველგვარ ნაკლულევანებათა დაუნდობელი მხილება. საბჭოთა პრესის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ულმობელი თვით კრიტიკა. დღეს ჩვენი პრესის ამ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. არ უნდა დაურჩეს ადგილი არავითარ ლმობიერებას, ბოროტების ან დაუდევრობის მიჩქმალვას და წაყრუებას, რაც უნდა მასუხსაგები თანამდებობის პირი სჩადიოდეს მას.

საბჭოთა მეურნეობის ყველა აშკარა თუ უჩინარი მტერი უნდა გამოყვანილი იქნან პრესის საშუალებით საზოგადოებრივ სამსჯავროს წინაშე. ყველა მათგანს შესაფერი სასჯელი უნდა მიეზღოს.

ამ რიგად, **დაუზოგველობის დაუზოგავი მხილება,**—აი საბჭოთაპრესის დღევანდელი ამოცანა. ამას გაზეთი საკუთარი ძალებით, ცხადია, ვერ შესძლებს. ამისათვის საჭიროა მშრომელი მასის ფართო აქტივობა და პირველყოვლისა მათი უშუალო დახმარება, ვინც ჩვენი დაწესებულება-წარმოებების და ორგანიზაციების სარევიზიო - საკონტროლო აპარატში მუშაობს.

მაგრამ, რასაკვირველია, მარტო მხილებით არ ამოიწურება უყაირათობა, ხელგაშლილობა, გამფლანგველობასთან ბრძოლა. ამას გარდა საჭიროა სხვა საშუალებებიც, აქ უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობის გეგმათა შესრულების შემოწმებას. რეალური, არსებულ შესაძლებლობასთან შეფარდებული გეგმიანობა მთავარი პირობაა ნაყოფიერ საქმიანობისათვის.

ამიტომ სამუშაოს თავის დროზე და ჯეროვანათ შესრულების შემოწმებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ეკონომიის რეჟიმის გატარებაში.

ასე რომ პრესამ უნდააწარმოოს რაც ძლება ვრცელი აღრიცხვა იმისი, თუ **სად და რა გაკეთდა** ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გასატარებლათ და თუ არ გაკეთდა, რა დაბრკოლებები ელობებიან წინ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას.

იმავე წერილში, რომელზედაც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი, ამის შესახებ ვკითხულობთ:

„პრესაში უნდა იქნეს გამოქვეყნებული კამპანიის ჩატარების შედეგები—სად რამდენი მომჭირნეობაა გაწეული, სად და როგორ შემცირდა და გამარტივდა მართვა-გამგეობის, აპარატი და როგორი უსარგებლო ხარჯები იქნა მოსპობილი“. ამნაირათ, **სამუშაოს შესრულების შემოწმება და ეკონომიის რეჟიმის გასატარებლად მიღებულ ღონისძიებათა შედეგების აღრიცხვა**—აი გაზეთის მეორე და მთავარი მოვალეობა პარტიის და ხელისუფლების მიერ დასმულ მორიგ ამოცანის დაძლევის საქმეში.

გარდა ამისა. გაზეთის და მშრომელი მასის წინაშე მთელი თავისი მნიშვნელობით ისმება უკვე საკმაოთ ძველი და საკმაოთ ნაცნობი კითხვა მუშა და გლეხ - კორესპონდენტების ქსელის გაფართოების შესახებ. დღეს ჩვენს პრესას ამ მხრივ მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. მაგრამ ამ მიღწევებით ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით. მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში მუშა და გლეხ-კორესპონდენტებს დაუფასებელი სამსახურის გაწევა შეუძლიანთ გაზეთისათვის. მათ წარსულშიაც დიდი ღვაწლი მუძღვით ამ მხრივ. მუშკორისა და გლეხკორისათვის ეკონომიის რეჟიმი უცხო და ახალი ამოცანა არაა.

ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რედაქციებისა და თვით მშრომელი მასის მიერ მომჭირნეობის ლოზუნგის ირგვლივ საბჭოთა საზოგადოებრივ აზრის მობილიზაციას და ამ აზრის გამოხატულებათ პრესის ფურცლების გამოყენებას.

ეკონომიის რეჟიმი დაკვრითი ამოცანათ არ უნდა წარმოვიდგინოთ, ის ხანგრძლივათ უნდა იქნას შეთვისებული და განხორციელებული. ამიტომ მისი გატარებაც ერთგვარ გეგმაშეზომილ და წინდახედულ მუშაობას ითხოვს.

ამ მუშაობაში პრესასაც დიდი ადგილი უჭირავს. საბჭოთა გაზეთს მხოლოდ მაშინ შეეძლება მასზე დაკისრებულ მოვალეობის პირნათლად შესრულება, როცა მას ფართე დახმარებას აღმოუჩენს დაწესებულება-წარმოება-ორგანიზაციები, მუშა და გლეხი-კორესპონდენტები და საზოგადოთ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

ფართოვდება ინგლისის მუშათა გაფიცვა

მდიდრები ლონდონიდან გარბიან პარიზში

გაფიცვა განხორციელებულია 100 პროცენტით.—ლონდონის სამრეწველო რაიონების ყველა მუშები გაფიცული არიან.—ლივერპულში გამოცხადებულია სამხედრო წესები.—მთელი ტრანსპორტი გაჩერებულია.—გაფიცვა მოედო მთელ ინგლისს.—დატუსაღებული საკლატვალა განთავისუფლეს.

გაფიცვების ტალღა

ლონდონი, 4 მაისი. გენერალური საბჭოს მიერ მიღებული ცნობით, **გაფიცვა მთელ ქვეყანას მოედო.** უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრები, ნოტინჰემი, ნიუ-კესტლი, ლიდრი, ბრისტოლი დამბლა დაცემულია. ქალაქებსა დერბსა და შეფფალდში სრული ქაოსია. სენდერლენდში ყოველივე სიცოცხლე მოკვდა, გარდა ნავთსადგურის დოკებისა. ფაიფურის ქარხნებმა მუშაობა შეაჩერეს ქვა-ნახშირის უქონლობის გამო.

შოტლანდიასა და უელსში გაფიცვა ყველა ოლქები მოიცვა.

მდიდრები გარბიან

პარიზი, 4 მაისი. **ამ უკანასკნელ დღეებში დიდძალი მდიდარი ინგლისელები მოაწყდენ საფრანგეთს.**

საფრანგეთის ჩრდილოეთ რკინისგზების საზოგადოებამ განაცხადა, რომ ის არ ღებულობს ტვირთებს ინგლისში გადასაგზავნად.

გაფიცვის შემდეგ

ლონდონი, 4 მაისი. **უკანასკნელ ცნობების თანახმად ედინბურგში, გლაზგოში, პლიმუტში, მანჩესტერში და სამხრეთ უელსში მოძრაობა სრულებით შეჩერდა. ლონდონში დაკეტილია ყველა სადგურები. უელსის პრინცი ბიარიციდან ლონდონში ბრუნდება ჰაეროპლანით.**

სამხედრო წესები

ლონდონი, 4 მაისი. **ლივერპულის ნავთსადგურში მოვიდა ორი სამხედრო გემი. ნავთსადგური გარშემორტყმულია ჯარებით.**

არავითარი ინციდენტი

ლონდონი, 4 მაისი. ჯერჯერობით საყოველთაო გაფიცვის განმავლობაში არავითარი ინციდენტი არ მომხდარა, გარდა იმისა, რომ მბეჭდავებმა უარი სთქვეს იმ გაზეთების გამოშვებაზე, რომელთაც მოათავსეს მთავრობის მიმართვა მოხალისეებისა და შტრეიკბრეხერებისადმი.

ტრანსპორტი შეჩერდა

ლონდონი, 4 მაისი. ტრანსპორტის მუშებმა, რომელთაც მუშაობა შუაღამემდის დაიწყეს, ბოლომდე მიიყვანეს თავიანთი სამუშაო. ომნიბუსები და ტრამვაის ვაგონები პარკებში დაბრუნდნენ ღამის რეისის დასრულების შემდეგ. ყველა შორსმავალმა ავტობუსებმა, ტრამვაიმ და მიწის ქვეშ მავალმა რკინის გზამ, შეაჩერა მოძრაობა ქუჩებში მოძრაობს დაუსრულებელი რიგი კერძო ავტომობილებისა, ველოსიპედებისა და მოტოციკლეტებისა, რის გამო ქუჩებში დიდი უწესრიგობაა. **ქუჩებში საბარგო ავტომობილები მიმოდიან შეიარაღებული და ფოლადის მუზარადიანი ჯარისკაცებით სავსე.**

პროფინტერნის წინადადება

მოსკოვი, 5 მაისი. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ სასწრაფო სხდომაზე ლოზოვსკის, მანნის და ამერიკელ ამხანაგის გამოსვლების შემდეგ, მიიღო მიმართვა ამსტერდამის ინტერნაციონალისადმი. **მიმართვაში პროფინტერნი წინადადებას აძლევს ამსტერდამს გაერთიანებული იქნას ორივე ინტერნაციონალების და მათ მომხრე ორგანიზაციების ძალები ინგლისის მებრძოლ პროლეტარიატის დასახმარებლათ.**

საკლატვალას დატუსაღება

ლონდონი, 4 მაისი. საკლატვალას დატუსაღების საბაბი იყო სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა პირველი მაისის მიტინგზე. საკლატვალამ დამსწრე ჯარისკაცებს უთხრა:

„თუ სროლა მოგიხდეთ, ესროლეთ მუშებს კი არა, არამედ მრეწველებს“.

საკლატვალამ პოლიციას წინადადება მისცა, რომ ამ სიტყვების შესახებ ეცნობებია, სადაც ჯერ არს.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, საკლატვალა დატუსაღებულია.

ლონდონი, 4 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ საკლატვალა 4 მაისს წარსდგა მსაჯულის წინაშე, რომელმაც საქმის განხილვის შემდეგ შესაძლებლად სცნო მისი განთავისუფლება იმ პირობით, რომ ის არსად წარმოსთქვამს სიტყვას, გარდა პარლამენტისა.

ლონდონი, 4 მაისი. გაფიცულია **ლონდონის სამრეწველო რაიონის ყველა მუშები გამოუკლებლივ. მუშების სულიერი განწყობილება მტკიცეა.**

„პოლიტიკური ხასიათის“ გამო

ანტვერპენი, 4 მაისი. 1 მაისს ანტვერპენში გაიხსნა საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის აღმასკომის სხდომა.

ცენტროკავშირის დელეგატმა **ხინჩუკმა** სასწრაფო წესით შეიტანა ორი წინადადება: ერთი რომ **ალიანსი შეუერთდეს ინგლისის ნახშირის მრეწველობის მუშების ბრძოლას და ნაციონალურმა კოოპერატიულმა კავშირმა გაუწიოს მატერიალური დახმარება გაფიცულებს** და მეორე, რომ ალიანსმა მონაწილეობა მიიღოს პირველი მაისის საერთაშორისო პროლეტარულ დღესასწაულში და შეუერთდეს ანტვერპენის პროლეტარიატის დემონსტრაციას.

ორივე წინადადება უარყოფილ იქნა მათი „პოლიტიკური ხასიათის გამო.

კომპარტიის მოწოდება

ლონდონი, 4 მაისი. ინგლისის კომპარტიის ორგანო „უორკერს დეილი“ სწერს, რომ **აუცილებლად საჭიროა მუშათა თავდაცვის რაზმების შედგენა და ჯარისკაცებთან დაძმობილება.**

კომპარტია მოუწოდებს მუშათა პარტიის წევრებს და პროფმუშაკებს, რომელნიც ჯარში იმყოფებიან, ნუ დაივიწყებენ თავიანთ ვალდებულებას, რომ „ჯარისკაცებს სიმართლე უნდა უთხრან“.

განსაკუთრებული უფლებები მთავრობას

ლონდონი, 4 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ კანონში განსაკუთრებული მდგომარეობის შესახებ უფლებას აძლევს მთავრობას მოახდინოს, საჭიროების მიხედვით, სურსათ-სანოვაგის, ფურაჟის, სათბობი მასალის და სატრანსპორტო საშუალებათა რეკვიზიცია და აგრეთვე დაავალოს პოლიციას ამა თუ იმ ბინის გაჩხრეკა და ამა თუ იმ პირის დატუსაღება უორდეროთ. მთავრობას უფლება აქვს აგრეთვე აკრძალოს ყოველგვარი მიტინგი და მანიფესტაცია.

სურსათ-სანოვაგე

ლონდონი, 4 მაისი. **ლონდონის მომარაგება სურსათ-სანოვაგით ხელშეუშლელად სწარმოებს.**

ლონდონის სურსათ-სანოვაგის ბირჟის მიერ გამოყოფილმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ერთხმად დაადგინა, რომ 30 აპრილს დაწესებული სურსათ-სანოვაგის ფასები არ უნდა იქნეს გადიდებული ბირჟის სათანადო დადგენილების გარეშე.

უდეგესტის განცხადება

ბერლინი, 4 მაისი. **ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის ერთ-ერთმა მდივანმა უდეგესტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი სავსებით მხარს უჭერს ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს მოქმედებას.**

„ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომმა—განაცხადა უდეგესტმა უკვე წინადადება მისცა ცალკე სახელმწიფოების პროფკავშირთა გაერთიანებებს მორალური დახმარება გაუწიონ ინგლისის მუშათა კლასს. ვფიქრობ, რომ ინგლისის მუშათა კლასი შესძლებს ბრძოლ. წარმოებას 4—5 კვირის განმავლობაში კონტინენტის პროფორგანიზაციების ფინანსიური დახმარების გარეშე.

ჩემის აზრით, საეჭვოა, რომ ბრძოლა ერთ თვეზე მეტი გაგრძელდეს. ამასთანავე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ინგლისის 12 მილიონი მუშიდგან გაფიცულა მხოლოდ 5 მილიონი და ეს რაოდენობა უნდა ვიქონიოთ მხედველობაში გაფიცვის საფინანსო ხარჯების გამორკვევის დროს. მრეწველობის სხვა დარგებში მაგალითად საფეიქრო მრეწველობაში, მუშაობა შეწყდა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი განგრძობა შეუძლებელია მრეწველობის უმთავრესი დარგების გაფიცვის გამო.

ამგვარად მუშების მნიშვნელოვანი რაოდენობა დახმარებას მიიღებენ როგორც უმუშევრები და მძიმე ტვირთად არ ჩაეწვებიან პროფკავშირების გენერალურ საბჭოს.

ინგლისის მუშების საყოველთაო გაფიცვის შედეგების შესახებ კონტინენტალურ სახელმწიფოებისათვის ჯერ-ჯერობით ძნელია რაიმე განსაზღვრული აზრის გამოთქმა. ძნელია იმის თქმა—გამოცხადება თუ არა სოლიდარობის გაფიცვები.. **უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისში ხდება რაღაც გაუგონარი ამბავი და არავის არ შეუძლია სთქვას, რა შედეგი მოჰყვება ასეთი უზარმაზარი მასშტაბის კონფლიქტს“.**

ამერიკის პროფკავშირების პოზიცია

ნიუ-იორკი, 4 მაისი. ამერიკის შრომის ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენლები თავს იკავებენ ინგლისის მუშების გაფიცვის შეფასებისაგან. არაოფიციალური გზით ფედერაცია თანაგრძნობას გამოსთქვამს ინგლისის სამთო-მადნო მუშების მიმართ და არ ეწინააღმდეგება მაღაროების ნაციონალიზაციას და სხვა სოციალისტურ მიზნებს, რომელიც დასახული აქვთ ინგლისის მუშებს. ამერიკის შრომის ფედერაცია, თავისი ტრადიციის თანახმად, უარყოფითად უყურებს საყოველთაო გაფიცვას,

100 პროცენტით

ლონდონი, 4 მაისი. ტრანსპორტის მუშების კავშირის წარმომადგენელმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპოდენტს განუცხადა, **რომ ლონდონის ნავთსადგურის მუშების სულიერი განწყობილება მტკიცეა. გაფიცვა განხორციელებულია 100 პროცენტით.**

ინგლისის კომკავშირმა გამოუშვა პროკლამაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ გაფიცვაში მონაწილეობა უნდა მიიღოს თვითეულმა ახალგაზრდა მუშამ.

გაფიცვის შედეგი

ლონდონი, 4 მაისი. ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს მიერ მიღებულ ცნობების თანახმად, წარმოების შეჩერების გამო რკინის და ფოლადის ბაზარი მიდლბოროუმში ჩაკვდა. გრიმსბში ლპება თევზის დიდი რაოდენობა; ასეთი მდგომარეობა შეიქმნა იმის გამო, რომ ხელისუფლებამ უარყო გენერალურ საბჭოს წინადადება სასურსათო მატარებლებში რკინისგზელების მუშაობის შესახებ,

უკანასკნელი წუთები

ლონდონი, 4 მაისი. იუწყებიან, რომ ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს ზოგიერთი წევრი უკანასკნელ წუთებში გაფიცვის დაწყებამდე სცდილობდენ დაერწმუნებიათ სამთო-მადნო მუშები უარეყოთ თავიანთ პოზიცია ხელფასის დაკლების საკითხში. მათ სამთო-მადნო მუშებს მოაგონეს ბალდუინთან თათბირის დროს და ტრედიუნიონების აღმასკომების კონფერენციაზე სმიტის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ქვა-ნახშირის კომისიის მოხსენება შეიძლება მიღებულ იქნას, როგორც საფუძველი მოლაპარაკებისათვის.

მაგრამ, სამთო-მადნო მუშების წარმომადგენლებმა გენერალურ საბჭოს უმრავლესობის დახმარებით გადაჭრით უარყვეს ეს წინადადება.

ტომ მანის განცხადება

მოსკოვი, 5 მაისი. ინგლისის მემარცხენე პროფმოძრაობის წარმომადგენელმა პროფინტერნში ტომ მანმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში ინგლისის მუშების საყოველთაო გაფიცვის შესახებ განაცხადა, რომ საყოველთაო გაფიცვის მნიშვნელობა და შედეგი განისაზღვრება იმით—ჩაებმებიან თუ არა მოძრაობაში სხვა წარმოების მუშებიც. იმ შემთხვევაში, თუ გაფიცვას შეუერთდენ რკინისგზელები, მბეჭდავები, მელითონეები საარმშენებლო დარგის და ელექტრო ტეხნიკური მრეწველობის მუშები და სხვ., მთავრობა და ნახშირის მაღაროების მესაკუთრენი იძულებული იქნებიან მახლობელ დღეებში დასვან საკითხი სამთო-მადნო მუშებთან მოლაპარაკების განახლების შესახებ, კონფლიქტის მოსაგვარებლად. ინგლისის ნახშირის მრეწველობის მუშების ბრძოლის წარმატებით დამთავრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გაფიცულებისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდების წორ ორგანიზაციას. ამ მხრივ უკვე მიღებულია სათანადო ზომები. ამ ექვსი თვის წინად დაიწყო მოლაპარაკება პროფკავშირებსა და კოოპერაციას შორის მუშების სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფის შესახებ, თუ საგაფიცვო მოძრაობა დაიწყებოდა. **ამჟამად გაფიცვას მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური ხასიათი აქვს, მაგრამ ეჭვს გარეშეა ბრძოლის პროცესში, განსაკუთრებით მოსალოდნელ რეპრესიების გამო, მან შეიძლება პოლიტიკური იერი მიიღოს.**

მაშინ ინგლისში აუცილებელია მთავრობის კრიზისი და პარლამენტის ხელ-ახალი არჩევნები, რადგან ბოლდუინს შექმნილ მდგომარეობაში მოუხდება საკითხის დაყენება მთავრობის გადადგომის შესახებ. ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო მოსალოდნელია კონსერვატიულ ლიბერალურ ბლოკის შექმნა, მაგრამ შესაძლებელია მუშათა მთავრობის შედგენაც, რომელიც, ალბათ მაკდონალდის მთავრობაზე უფრო მემარცხენე იქნება.

ლოკაუტი

ლონდონი, 4 მაისი. სიდნეიდან (ავსტრალია) მიღებულ ცნობების თანახმად, დღეს დაიხურა ავსტრალიის შტატის ახალ სამხრეთ-უელსის ქარხნები, რომლებშიაც მუშაობდა 30.000 კაცამდე. ლოკაუტი გამოიწვია კონფლიქტმა, რომელიც მოხდა სამუშაო კვირის ხანგრძლივობის ნიადაგზე. ახალ სამხრეთ-უელსის პარლამენტმა რამდენიმე თვის წინად მიიღო დადგენილება 44 საათის სამუშაო კვირის შემოღების შესახებ. ამის პასუხად ავსტრალიის პარლამენტმა, რომელშიაც უმრავლესობა ბურჟუაზიულ პარტიებს ეკუთვნისთ, მიიღო დადგენილება, რომ სამუშაო კვირის ხანგრძლივობის განსაზღვრა შედის ავსტრალიის პარლამენტის და არა ავსტრალიის შტატების პარლამენტების კომპეტენციაში. ამ ნიადაგზე ახალ სამხრეთ უელსის დამქირავებლებმა მოითხოვეს 48 საათის სამუშაო კვირის შემოღება. მუშებმა კატეგორიულად უარყვეს ეს მოთხოვნილება. კონფლიქტი გათავდა ლოკაუტის გამოცხადებით.

ლორდების აზრი გაფიცვაზე

ლონდონი, 4 მაისი. როცა ლორდთა პალატაში შექმნილი მდგომარეობა ირჩეოდა, ლორდ სოლს ბერომ გამოაქვეყნა მეფის მიმართვა, რომლითაც საგანგებო წესები ცხადდება, და მოითხოვა სამადლობელი მიმართვის გაგზავნა მეფისათვის. შემდეგ სოლს ბერიმ განაცხადა, რომ მთავრობას შეუძლია მხოლოდ ერთი გზა აირჩიოს, თუ მას საყოველთაო გაფიცვით დაემუქრებიან.

„მთავრობას—განაცხადა სოლს ბერიმ—არ შეუძლია მოლაპარაკების წარმოება, თუ ის პირისპირ საფრთხეს წინაშე დადგა“.

ხალდენმა განაცხადა, რომ გაფიცვა წარმოიშვა იმის გამო, რომ მთავრობამ უარი სთქვა მოლაპარაკების გაგრძელებაზე.

„გაფიცულები—განაცხადა ხალდენმა—ჯარისკაცებად იყვნენ მსოფლიო ომში და გამბედაობის, ნაციონალური სიმტკიცის განსახიერებას წარმოადგენენ. მთავრობამ ხელიდან არ უნდა გაუშვას არც ერთი შესაძლებლობა მოლაპარაკების გაგრძელებისათვის“.

ლიბერალების ბელადმა **ასკვიტმა** განაცხადა, რომ ხალდენს არ ესმის, რომ საყოველთაო გაფიცვა—ეს არის იარაღი, მიმართული საზოგადოების წინააღმდეგ. ვერავითარი მთავრობა უკან ვერ დაიხევდა ასეთი გამოწვევის დროს.

კოოპერაციის როლი

მოსკოვი, 5 მაისი. კომინტერნის აღმასკომის კოოპერატიულ სექციაში საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს მისცეს შემდეგი ცნობა იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს ინგლისის სამომხმარებლო კოოპერაცია სამთო-მადნო მუშების ბრძოლაში.

ინგლისის სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელიც აერთიანებს თითქმის 5 მილიონ მომხმარებელს, უდიდეს როლს ითამაშებს ინგლისის პროლეტარიატის ბრძოლაში. უკვე უკანასკნელ თვეების განმავლობაში ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს და კოოპერატივების ცენტრალურ კავშირის გამგეობას შორის სწარმოებდა მოლაპარაკება გაფიცულ მუშათა ოჯახებისათვის საქონლის ნისიათ მიცემის შესახებ. ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის ხელმძღვანელი, განსაკუთრებით სამთო-მადნო მუშათა კავშირის მდივანი კუკი, თავიანთ გამოსვლებში მხარს უჭერდენ ინგლისის კომუნისტურ პარტიის მიერ წამოყენებულ ლოზუნგს, რომ სამომხმარებლო კოოპერაციამ, კონფლიქტის დროს, უნდა შეასრულოს მუშათა კლასის „მომარაგების კომისარიატის“ როლი.

მარტის დამლევს გაიმართა ინგლისის პროფკავშირთა „უმცირესობის მოძრაობის“ ყრილობა, რომელზედაც წარმოდგენილი იყვნენ ზოგიერთი ოპოზიციონური კოოპერატიული ორგანიზაციები. ამ ყრილობამ თავის რეზოლიუციებში აგრეთვე ხაზგასმით აღიარა, რომ საჭიროა კოოპერაციის და პროფკავშირების შეთანხმებული მოქმედება — მაღაროს მუშების ბრძოლის დროს.

ინგლისის კოოპერატიულ მოძრაობის ცენტრალურ ორგანოების წვრილ-ბურჟუაზიული ხელმძღვანელები ყოველმხრივ სცდილობდენ გაეჭიანურებიათ მოლაპარაკება გაფიცულებისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხზე და დღემდის მოითხოვენ, რომ კოოპერატივებმა ნისიად გასცენ პროდუქტები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პროფკავშირთა ცენტრების მხრივ იქნება სრული მატერიალური გარანტია. მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი ცირკულიარულ წერილში წინადადებას აძლევენ ადგილობრივ კოოპერატივებს პროდუქტები მიაწოდონ მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ წევრებს.

კოოპერატიულ მოძრაობის ლიდერების ფიზიონომიის გამოსარკვევად დამახასიათებელია დღევანდელ დეპეშებში გადმოცემული ფაქტი, რომ წინადადება,. რომელიც საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსის სხდომაზე ანტვერპენში საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენელმა ხინჩუკმა წარადგინა ინგლისის სამთო-მადნო მუშებისათვის მორალურ და მატერიალურ დახმარების შესახებ— უარყოფილი იქნა იმ მოსაზრებით, რომ საჭიროა დაცული იქნას „ნეიტრალიტეტი“.

26 აპრილს დაინიშნა ტრედიუნიონების კონგრესის ცენტრალურ საბჭოს და ბითუმად მოვაჭრე საზოგადოების სპეციალურ კომიტეტის გაერთიანებული სხდომა. ჯერ კიდევ არ არის მიღებული ცნობები ამ სხდომის შედეგების შესახებ. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს ხელმძღვანელ ცენტრების ოფიციალური თვალსაზრისი ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ზოგიერთი ადგილობრივი კოოპერატივი, განსაკუთრებით ნახშირის რაიონებში ყოველგვარ ზომებს მიიღებენ მებრძოლ მუშების დასახმარებლად.

საფრანგეთის პრესის აზრი

პარიზი, 5 მაისი. მთელი საფრანგეთის პრესა ეხება საყოველთაო გაფიცვას ინგლისში.

„მატენ“ აღნიშნავს, რომ იმ ბრძოლის შედეგი, რომელსაც გაცხოველებული ინტერესით თვალყურს ადევნებენ მთელს მსოფლიოში სცილდება ინგლისის ფარგლებს, ვინაიდან ამ ბრძოლას შეუძლია სერიოზული გავლენა იქონიოს ევროპის დანარჩენ ქვეყნების პოლიტიკურ და სოციალურ ევოლიუციაზე.

„ჟურნე ინდუსტრიელ“ ამბობს, რომ ინგლისს ძვირად დაუჯდა მკაცრი სავალიუტო პოლიტიკა, რომელიც მეტად ინდივიდუალურ მიზნებს ისახავდა. ამ პოლიტიკამ, რომელმაც მკაცრი ზომებით გირვანქა სტერლინგი პარიტეტამდე აიყვანა, შეანელა ექსპორტი, შექმნა უმუშევრობა და დაბოლოს დასვა სამუშაო ხელფასის გადასინჯვის საკითხი.

„ერ ნუველ“ ამბობს:

„ინგლისმა დროებით შესძლო ფულის მდგომარეობის ხელოვნურად განმტკიცება. დღეს კი ფინანსიური თვალსაზრისით ეს მდგომარეობა წააგავს ნაპოლეონის მდგომარეობას მოსკოვში, როცა მან ყოველგვარი ფულის სისტემა დაამარცხა ევროპაში, მაგრამ შექმნა სიცალიერე თავისი ექსპორტის, კერძოთ ნახშირის ექსპორტის გარშემო“.

პარიზი, 5 მაისი. **„პტი პარიზიენი“** სწერს:

„მაღაროს მუშების საქმე თუმცა სიმპატიურია, მაგრამ ის მეორე ხარისხოვან ადგილს იჭერს. ინგლისელი საშუალო მოქალაქე გადაჭრით დადგა წესრიგის მხარეზე რევოლიუციის წინააღმდეგ.

„ეკო დე პარი“ სწერს, რომ კონფლიქტი არყევს ბრიტანეთის ცივილიზაციის საფუძვლებს, მაგრამ მთავრობა გაიმარჯვებს. **„პტი ჟურნალი“** კონფლიქტის მთავარ მიზეზათ სთვლის მაღაროს მუშების არა დამაკმაყოფილებელ ხელფასს.

საქართველოს მშრომელთა ხმა

საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილება

სამშაბათს, 4 მაისს, ამხ. გ. ყურულიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. მოსმენილ იქნა ამხ. გ. ყურულიშვილის ინფორმაცია ინგლისის მაღაროს მუშების გაფიცვის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა გაფიცვის მდგომარეობა და მისი მნიშვნელობა. გაფიცვამდე—სთქვა მან—მოხდა სამთა-მადნო მუშაკთა საერთაშორისო კონფერენცია, რის შემდეგ ხდება გაფიცვა. თავის თავად ცხადია, ამ გაფიცვას ორგანიზაციული ხასიათი ჰქონდა და არა ჩვეულებრივი,—ეკონომიური. ამ გაფიცვას დიდი პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, ამას მუშების მოწინააღმდეგებიც ხედავენ. ისინი ყოყმანობდენ და შტრეიკბრეხერების ორგანიზაციებს აწყობდენ, რომ გაფიცულთა წინააღმდეგ ამით ებრძოლათ. გარდა ამისა, ინგლისის ბურჟუაზიას სურდა, რომ მუშათა კლასისათვის იერიში მიეტანათ ნაწილობრივი დამარცხებით. მათ მოინდომეს გენერალური ხელშეკრულების ნაცვლად, რაიონების მიხედვით, ცალცალკე ხელშეკრულებები დაედვათ, რომ მუშები ნაწილობრივად თავის მოთხოვნილებისთვის დაეთანხმებიათ.

მაგრამ იმედი გაუცრუვდათ, იმის ნაცვლად, რომ მუშები დაიყოლიონ თავის ნებაზე, ჩვენ ვხედავთ გარევოლიუციონერებულ არა მარტო მაღაროს მუშებს, არამედ მბეჭდავებს და სხვ. ჩვენც უნდა გამოვეხმაუროთ მათ და დახმარება გაუწიოთ [illegible] მორალური, ისე მატერიალური. თავის თავად ცხადია, ჩვენ იმდენ დახმარებას ვერ გაუწევთ, რომ გაფიცულთა საგრძნობი მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ, მაგრამ როგორი დახმარებაც არ უნდა გავიღოთ, ის მაინც იქნება ჩვენი სოლიდარობის, მუშათა მოძრაობის თანაგრძნობის გამომხატველი. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რომ კავშირების გამგეობამ იმსჯელოს ამ საკითხზე, შეძლებისდაგვარათ დაეხმარონ ინგლისის გაფიცულ მუშებს და ფართო მასას გააცნონ ამ გაფიცვის მნიშვნელობა. პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო მორალური და მატერიალური დახმარება გაუწიოს ინგლისის გაფიცულ მუშებს. დაევალა პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებას ამ საკითხთან დაკავშირებულ [illegible]ბის მოგვარება.

დეპეშა ტრედ-იუნიონთა საბჭოს

პროფკავშირებში დარაზმულ საქართველოს პროლეტარიატის სახელით საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის ინგლისის რევოლიუციონურ პროლეტარიატს, რომელმაც დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა ინგლისის და საერთაშორისო კაპიტალისტების წინააღმდეგ.

იმ ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინებაში, რომელიც დაიწყეს ინგლისის სამთა-მადნო მუშებმა ინგლისის პროფკავშირების ყველა წევრებთან ერთად ბურჟუაზიის და მისი აღმასრულებელი კომიტეტის— კონსერვატიული მთავრობის — წინააღმდეგ, დიდათ დაინტერესებულია მთელი ქვეყნის პროლეტარიატი, რომელიც საკუთარ მხრებზე განიცდის როგორც თქვენს გამარჯვებას, [illegible] ისე დამარცხებას.

საქართველოს [illegible] პროფკავშ[illegible] მთელი საბჭოთა [illegible] კავშირის [illegible] ტარიატთან ერთა[illegible] ტარულ ვალად [illegible] მხრივი დახმარება გაუწიო[illegible] ის პროლეტარია[illegible] ბრძოლაში.

მედგრათ განაგრძეთ [illegible] ხანაგებო!

თქვენს მხარეზეა მთელი [illegible] პროლეტარიატი.

საქართველოს პროფკავშირების
საბჭოს თავმჯდომარე ყურულიშვილი.
მდივანი ფანცხავა.

თბილისის კომიტეტის მისალმება

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა, მოისმინა რა მოხსენება ინგლისის მუშების გაფიცვის შესახებ, დაადგინა გაეგზავნ[illegible]ბა ტრედ-იუნიონების საბჭოს.

მემაღაროეთა გაფიცვის მოლო[illegible]

(წერილი ინგლისიდან)

ქვა-ნახშირის კრიზისი ინგლისში საბოლოო საფეხურზე გადავიდა. 1 მაისს გაფიცვა უნდა დაიწყოს. თუ მანამდე შეთანხმება არ მოხდა, ის ღრმა და ძლიერი კონფლიქტი, რომელიც ერთი მხრით მუშათა კლასს და მეორე მხრით სახელმწიფოსა და კაპიტალისტებს შორის არსებობს, გაღვივდება და შეურიგებელი ბრძოლა გაჩაღდება. ქვა-ნახშირის კრიზისზე დამოკიდებულია დიდი ბრიტანეთის მუშათა კლასის მომავალი. 1921 წელს, „შავ პარასკევს“, როცა მუშათა კლასის ფრონტი მოღალატე მემარჯვენე ბელადებმა გაარღვიეს, მოძრაობა დამარცხდა და მისი დაქვეითების და დაშლის ხანა დაიწყო. 1925 წელს „წითელ პარასკევს“ მიღწეულმა მთლიანმა ფრონტმა მთავრობას გონება დაუბნია, აიძულა სახელმწიფო დახმარება გაეღო მუშათა ხელფასის დონის შესანარჩუნებლად და ამრივად კონფლიქტი დროებით განელდა. ამას მოჰყვა მუშათა მოძრაობის ხელ-ახალი გამოცოცხლება, რომლის უმწვერვალეს პუნქტს პროფკავშირების ყრილობა წარმოადგენდა სკარბოროში. ახლა, 1926 წელმა უდიდესი კონფლიქტი მოგვიტანა, მთავრობას ყოველი სამზადისი დამთავრებული აქვს და ყველა საორგანიზაციო ზომები მიღებულია, რათა მუშათა კლასი მოსდრიკოს; თავის მხრით მთელი მუშათა კლასი ვალდებულია მტერს აშკარა და გაერთიანებული წინააღმდეგობა გაუწიოს.

ქვანახშირის კომისიის მოხსენება, რომელიც მთავრობის პოლიტიკას გამოჰხატავს, მოითხოვს სახელმწიფო სუბსიდიის (დახმარების) მოსპობას და ხელფასის შემცირებას „ეკონომიურად შესაძლებელ“ დონემდე **მემაღაროების რეალური ხელფასი უკვე 30% დაბლა სდგას ომის წინადროინდელ საფეხურთან შედარებით,** მემაღაროების კონფერენციებმა რამდენჯერმე მოითხოვეს მისი გადიდება. ამ ორ მოპირდაპირე პოზიციას შორის ერთად ერთი ხიდი არსებობს. ეს არის სახელმწიფოს დახმარების გაგრძელება. მაგრამ განა შეიძლება ეს დღევანდელი ფორმით მოხდეს? ის ერთგვარ სტრატეგიულ დამხმარე ზომას წარმოადგენდა კონფლიქტის გადასადებათ, **სანამ** მთავრობა **უკეთ** მოემზადებოდა. ახლა როგორც ტეხნიკური და ორგანიზაციული, ისე იდეოლოგიური ხასიათის სამზადისი დამთავრებულია.

ცხადია, რომ მთავრობისა და კაპიტალიზმის ყველა ძალების მისწრაფება იქით არის მიმართული, რომ რაც შეიძლება ჩქარა შეაჩერონ სახელმწიფოს სუბსიდია; ის უკანასკნელი ცხრა თვის განმავლობაში 19 მილიონ გირვანქა სტერლინგს უდრიდა, რაც წელიწადში 25 მილიონს შეადგენს. დანარჩენ კაპიტალისტური მრეწველობის დარგებს არ სურთ ამ ტვირთის ზიდვა. ეს შეუძლებელია აგრეთვე ინგლისის საერთო ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების გამოც. 1926 წლის პირველი მეოთხედის სავაჭრო ბალანსმა 1925 წლის იმავე პერიოდთან შედარებით უკან დაიწია 51 მილიონ გირვანქა სტერლინგით, საქონლის გატანა 19 მილიონი სტერლინგით შემცირდა.

მაგრამ რა მოჰყვება სახელმწიფო სუბსიდიის მოსპობას? დღეს დღეობით თითქმის მთელი ხელფასის მესამედს ეს სუბსიდია შეადგენს. ამიტომ ცხადია, რომ ხელფასის შემცირება „ქვანახშირის კომისიის“ წარმოდგენილ 10 პროცენტზე მეტი იქნება, თუ მუშათა კლასი დათმობას დასთანხმდა, ან მით უმეტეს ბრძოლაში დამარცხდა.

მუშები დიდის ინტერესით ეპყრობიან ქვანახშირის მრეწველობის საკითხებს. მემაღაროების კონფერენციას 9 აპრილის სხდომაზე ლანკაშირის სექციის წინადადებით უნდოდა პირდაპირ უარეყო ქვანახშირის კომისიის მოხსენება; მაგრამ ამას წინააღმდეგობა გაუწია პროფკავშირის ხელმძღვანელმა ორგანომ. ბოლოს მაინც ერთხმად მი[illegible] იქნა რეზოლიუცია, რომელიც მიუღებლათ სთვლის ხელფასის შემცირებას და სამუშაო დღის გ[illegible]

მემაღაროებისა, ტრანსპორტის [illegible] და მელითონეების შეკავშირებუ[illegible] სვლის წინადადებამ ყველგან [illegible] ლესობა მიიღო, სადაც კი ე[illegible] სვა. საერთოდ 1.600.000 წევ[illegible] ბულად გამოსვლის მომხრე [illegible] მახასიათებელია, რომ [illegible] კავშირ[illegible], რომელმაც ტომასის [illegible] ლობით, საერთო ფრონტით [illegible] შყო, ვერ გაბედა ამ საკითხის [illegible] ეყარა წევრების შორის.

უმცირესობის მოძრაობის [illegible] რომელიც მილიონზე მეტ [illegible] გენდა, გასაოცარი ბრძოლის სუ[illegible] ჩინა; **გამოაშკარავდა, რომ ო[illegible] ზაციულად გაერთიანებული [illegible] თა კლასის ერთს მეოთხედ[illegible] რია არა მარტო გაერთ[illegible] მოქმედება და რევო[illegible] ბრძოლა, არამედ ის მ[illegible] ოფიციალური პროფმოძრაობის დაუხმარებლადაც სალსარი იპოვოს და საჭირო ორგანიზაციული ზომები მიიღოს, რათა თავისი ნებისყოფა განახორციელოს.** რასაკვირველია, ეს გარემოება უმცირესობის მოძ[illegible] ლადებსა და კომუნისტ[illegible] რომელსაც რევოლიუციო[illegible] თავიანთი ნდობა გამოუცხ[illegible] ხისმგებლობას აკისრებს.

იმავე დროს მრეწველობის მრავალ დარგში ხელფასის საკითხი გამწვავდა და მუშათა კლასის გაერთიანებულ გამოსვლას საფუძველი ჩაეყარა. მელითონეები ორი წლის განმავლობაში ამაოდ იბრძოდნენ ხელფასის გადიდებისთვის. ლონდონის ოლქის მელითონეებმა კენჭი უყარეს კიდეც [illegible] ვის საკითხს. რკინისგზელებ[illegible] ყოფილონი არიან, რომ [illegible] თმობილია და, ტომასი[illegible] მანევრების წყალობით, [illegible] რომისული წინადადებ[illegible] ქის რკინისგზელებმა [illegible] გამოუცხადეს მემაღ[illegible] დარგიც კრიზისს განიცდ[illegible]. აგრეთვე ნორფ[illegible] ოლქის სამეურნეო მუშებმა ხმა მისცეს გაფიცვის რეზოლიუციას.

რევოლიუციური მოძრაობის გაძლიერების მიუხედავად, მემარჯვენე და ცენტრისტული ხელმძღვანელობა სცდილობს ის გაანელოს ან დათმობის გზაზე დააყენოს. მთავრობის მუქარამ, რომ ის სათანადო ღონისძიებას მიმართავს, რომ უკიდურეს შემთხვევაში მილიტარული და სახელმწიფოებრივი ზომებიც იქნება მიღებული, ბელადების დიდ ნაწილზე თვალსაჩინო გავლენა მოახდინა. ლივერპულის [illegible] კომუნისტების დატუსაღების შემდეგ ოფიციალურ პროფკავშირელ წრეებში თავი იჩინა მემარჯვენე მოძრაობამ, რომელსაც თვით მუშათა კლასში სათანადო მოხმაურება არა აქვს.

მემარჯვენე ბელადები აშკარად „დამარცხების“ პროპაგანდას ეწევიან და მანევრებს აწარმოებენ საბოტაჟის მიზნით. მაგალითად, მაკდონალდი მემაღაროებისაგან „დროებით მსხვერპლს“ ითხოვს. ჰოჯსი ს[illegible] მუშაო დღის გაგრძელების მომხრეა; ცენტრის წარმომადგენლები მათ შესაფერ წინააღმდეგობას ვერ უწევენ. ამიტომ დიდი საფრთხე არსებობს, რომ კულისებში ვერაგული შეთანხმება მოხდება მუშათა კლასის ხარჯზე. მაგრამ მუშათა კლასის გაერთიანებული ნებისყოფა ისე მძლავრად ეწინააღმდეგება ხელფასის შემცირებას [illegible] პრომისის მიღწევა მეტად [illegible] თუ გვიან ბრძოლა უნდა [illegible] ბრძოლას პირდაპირ უ[illegible] ბა იქნება მთელი საერ[illegible] მო[illegible]ვის.

ლონდონი, 20 აპრ[illegible]

კომინტერნის მოწოდება

მოსკოვი, 5 მაისი. კომინტერნის აღმასკომი თავის მოწოდებაში ყველა ქვეყნის მუშებისადმი სწერს:

„ინგლისის ამბებმა უკვე დღესვე მიიღო საერთაშორისო ისტორიული ხასიათის მნიშვნელობა. ინგლისის კაპიტალისტებისა და კონსერვატიულ მთავრობის გამოწვევაზე პასუხი გასცა მთელი ინგლისის შეკავშირებულმა მუშათა კლასმა. ბალდუინის მთავრობა უკვე რამდენიმე თვეების განმავლობაში შეგნებულად და დამშვიდებულად ემზადება ინგლისის მუშათა კლასთან სასტიკათ გასწორებისთვის, და ამ გზით ილტვის შექმნას თავის ბატონობისათვის შიგნით უფრო მტკიცე მდგომარეობა. ინგლისის მთავრობამ მოსთხოვა მაღაროს მუშებს დასთანხმებოდენ ისედაც მცირე ხელფასის კიდევ უფრო შემცირებას, 10%-ით მაინც, სამუშაო დღის გადიდებას 1 საათით, და საერთო ნაციონალურ მასშტაბით კოლექტიურ ხელშეკრულებაზე უარის თქმას.

ყოველ შეგნებულმა მუშამ იცის, რომ თუ ინგლისის კაპიტალისტებმა შესძლეს მაღაროს მუშების წამოჩოქება, ხვალ ასეთივე დღე დაადგებათ სხვა დარგის მუშებსაც.

მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზია ჰქმნის თავის ერთიან ფრონტს. ინგლისის ლიბერალებმა განაცხადეს, რომ ისინი ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ კონსერვატორებს მუშების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ინგლისის ბურჟუაზიის ერთიან ფრონტს ჩვენ უნდა დაუყენოთ წინ საერთაშორისო პროლეტარიატის ერთიანი ფრონტი.

კომუნისტური ინტერნაციონალი მიმართავს ყველა თავის წევრებს, თანამგრძნობებს, ყველა თავის მომხრეებს, სადაც არ უნდა მუშაობდენ ისინი. თვითეული კომუნისტი, სადაც არ უნდა იყვეს ის, ვალდებულია ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ინგლისის პროლეტარიატს მის დიად ბრძოლაში.

[illegible] დახმარების აღმოჩენა უბრალო მოვალეობაა ყოველი პატიოსანი პროლეტარისა.

გერმანიის, საფრანგეთის, ჩეხო-სლოვაკიის, პოლონეთის, ბელგიის, ამერიკის, იაპონიის და სხვა ქვეყნების მაღაროებში მუშებო თქვენსკენა მომართული პირველად ყოვლისა კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი სიტყვა, თქვენზეა დამყარებული პირველ რიგში ინგლისელ ძმების გამარჯვება, რომელიც ამავე დროს თქვენი გამარჯვებაც იქნება. არც ერთი ფუთი ნახშირი ან ნავთი გაფიცვების დროს არ უნდა მოხვდეს ინგლისის პორტებში. მოითხოვეთ ბრიუსელის კონფერენციის დადგენილებების განხორციელება, ეს დადგენილებები არ უნდა დარჩეს მხოლოდ ქაღალდზე. ყველა ქვეყნის ტრანსპორტის მუშებმა და რკინისგზელებმა არ უნდა დაუშვან, რომ ნახშირის ან ნავთით დატვირთული თუნდაც ერთი მატარებელი, ან გემი შევიდეს ინგლისში, სანამ არ დამთავრდება დაწყებული ბრძოლა.

კომინტერნის ყველა სექციებმა უნდა მიმართონ ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატებს წინადადებით დაუყოვნებლივ შექმნას ერთიანი მოქმედების კომიტეტები, რომლებიც აიღებენ თავის ხელში ინგლისის მუშებისათვის დახმარების საქმეს. ამ საქმეში ახლა დაყოვნება დანაშაულობაა. მოლაპარაკების გაჭიანურება კი ინგლისელ ძმებისთვის დახმარებაზე უარის თქმას ნიშნავს.

ბელადებთან ერთად, სადაც ეს მათ სურთ, და ბელადების გარეშე, სადაც ისინი წინააღმდეგობას გაუწევენ, მუშა სოციალ-დემოკრატებმა და უპარტიოებმა კომუნისტებთან ერთად უნდა შექმნან მოქმედების კომიტეტები ინგლისის პროლეტარიატისთვის დახმარების აღმოსაჩენად.

ინგლისის მუშებს კომუნისტური ინტერნაციონალი უგზავნის მხურვალე სალამს გმირულად დაწყებულ ბრძოლისთვის. ინგლისის მუშების სამაგალითო ორგანიზაციები მოწოდებული არიან დღეს უდიდესი როლი ითამაშონ. ჩარტიზმის შემდეგ ინგლისმა არ იცის უფრო დიდი მოძრაობა ვიდრე დღეს დაიწყო. ინგლისის მუშები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი აღფრთოვანებით დაეხმარება მას მის დიდ ბრძოლაში.

ინგლისის გაფიცვების ისტორიამ განსაკუთრებით ბევრი მაგალითი იცის, როდესაც ზოგიერთი მოწინავე ბელადები განგებ დგებოდენ მუშათა მოძრაობის სათავეში, რომ პირველ შემთხვევისთანავე გაეცათ ის. გახსოვდეთ ამხანაგებო, რომ ეს საშიშროება ყველაზე დიდ საფრთხეს უმზადებს თქვენს უდიდეს მოძრაობას.

ყველა ქვეყნის კომუნისტები ვალდებული არიან რაც კი შეიძლება ხელი შეუწყონ, რომ ეს ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდეს. და უფრო მძლავრად და შეკავშირებულად დაიწყოს ბრძოლა.

მთელი ძალებით მთელი გონებით ინგლისის პროლეტარიატის დასახმარებლად.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი.

უკანასკნელი ცნობები

პასუხი გადასდეს

პრაღა, 4 მაისი. როგორც კი მიღებულ იქნა ცნობა ინგლისში გაფიცვის გამოცხადების შესახებ, ჩეხოსლოვაკიის სამთომადნო მუშების [illegible] მიმართა სოციალ-დემოკრატიულ პროფკავშირების გაერთიანებას და სოციალ-დემოკრატიულ [პარ]ტიის წინადადებით—გაერთიანებულად გამოვიდენ და შეაგროვონ [illegible] გაფი[ცულ] სამთომადნო მუშების სასარგებლოდ. სოციალ-დემოკრატიის [illegible] უპასუხეს, რომ მახლობელ [illegible] განმავლობაში გასცემენ [illegible] ამ წინადადებაზე.

[illegible] მემარცხენე პროფკავშირები

ნიუ-იორკი, 4 მაისი. პროფკავშირების მემარცხენე ფრთის, „უორკერს პარტიის" და სოციალისტური [პარ]ტიის წარმომადგენლებმა სოლი[დარ]ობა გამოუცხადეს ინგლისის მუ[შებს].

[ამე]რიკის პრესა

[ნიუ-იო]რკი, 4 მაისი. ამერიკის [illegible] რომელიც [illegible] წინად არ იჩენდა [illegible] ინტერესს ინგლისის [illegible] მრეწველობის კრიზისის [illegible] ერთგვარი ოპტიმიზმით [illegible] ამჟამად უდიდესი [illegible] ხვდება ინგლისიდან [illegible] ცნობებს.

[ცნ]ობები ლონდონიდან

[ნიუ-]იორკი, 4 მაისი. არსებული [illegible] თანახმად ამერიკის ქვა-ნახშ[ირის] [illegible] მრეწველობის საზოგადოებ[ა] [illegible] დაკვეთებს ლონდონიდან. [illegible] დიდ მოგებას მოელიან [illegible] ინგლი[illegible]

„[illegible] კილოგრამი ნახშირი ინგლისს".

[პა]რიზი, 4 მაისი. ინგლისის გაფიცვები [illegible] პოულობს საფრან[გეთის] [პროლე]ტარიატში. ამას ხელს უწყობს [illegible] გარემოება, რომ საფრანგეთის მუ[შების] [illegible] ამოცანაა ბრძოლა ხელფასის [illegible] და 8 საათის სამუშაო დღის[თვის].

[illegible] რევოლუციონურ პროფკავშირების მოქმედების კომიტეტის უმთავრესი ლოზუნგია: „[illegible] კილოგრამი ნახშირი ინგლისს".

5 მაისს შესდგება რკინისგზელთა კონფერენცია.

16 მაისს პა-დე-კალეში შეიკრიბება ჩრდილოეთ დეპარტამენტების მაღაროს მუშათა კონფერენცია.

შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ დეპეშით აუწყა ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს, რომ საფრანგეთის მუშები მზად არიან მხარი დაუჭირონ ინგლისელ ამხანაგებს.

საფრანგეთის კომპარტია მასიურ მიტინგებსა და დემონსტრაციებს ახდენს პორტის რაიონებში, სადაც მიემგზავრებიან მანმუხო, დორიო და სხ.

რკინისგზელები ბოიკოტით ხვდებიან ინგლისში ნახშირის გადაზიდვას.

საგინაო დამოკიდებულება ინგლისთან შეწყვეტილია.

პარიზი, 4 მაისი. **სანაოსნო დამოკიდებულება ინგლისსა და ევროპას შორის, მათ შორის, ურანისა და საფრანგეთთან, შეწყვეტილია.**

საფრანგეთის ბურჟუაზია შეშფოთდა.

პარიზი, 4 მაისი. საფრანგეთის ბურჟუაზია ძლიერ შეაშფოთა ინგლისის დიდმა გაფიცვებმა და შიშობენ, რომ ინგლისის კონფლიქტი გავლენას მოახდენს საფრანგეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

საქმიანი წრეები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ინგლისის კრიზისის უმთავრესი მიზეზია გირვანქა სტერლინგის რეალიზაცია, რომლის მიღწევის მიზნით ვერ არჩევდენ საშუალებებსო.

მეშჩანური წრეები შანის მოგებით ხვდებიან ინგლისის ამბებს.

მოლაპარაკება უდჯაში შეჩერდა

პარიზი, 4 მაისი. უდჯადან იუწყებიან, რომ კონფერენციამ სრულიად შეაჩერა თავისი მუშაობა. საფრანგეთის დელეგატები დარწმუნებული არიან, რომ შეთანხმება პრაქტიკულად განუხორციელებელია, რადგან მათი აზრით რიფებს არ ესმით საერთაშორისო ხელშეკრულების მნიშვნელობა.

ადგილების განაწილება ერთა ლიგაში

ბერლინი, 4 მაისი. „ფოსიშე ცეიტუნგის" სიტყვით 10 მაისს ჟენევაში შეიკრიბება ერთა ლიგის კომისია, რომლის მსჯელობის საგანი იქნება უმთავრესად სამი ჯგუფის შექმნა ერთა ლიგაში. ადგილები განაწილებული იქნება შემდეგნაირათ: მუდმივი ადგილები მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს, მათ რიცხვში გერმანიასაც. ნახევრად მუდმივი ადგილები 6 წლის ვადით ხელახლად გადარჩევის უფლებით განზრახულია ბრაზილიისთვის, პოლონეთისთვის და მცირე ანტანტის სახელმწიფოებისთვის და არა მუდმივი ადგილები 3 წლით ხელახლა გადარჩევის უფლების აღკვეთით.

პირველი მაისის დღესასწაული უცხოეთში

პოლონეთში

ვარშავა, 3 მაისი. 1 მაისის წინადღით ვარშავაში პოზნანიდან ჩავიდა 500 პოლიციელი და 2 ქვეითა პოლკი. ვარშავის პოლიცია შეიარაღებულ იქნა ყუმბარებით და შხამიან გაზით, პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ გაიწვია ყველა თავისი რაზმები, რომელთაც დაეთმო დიდძალი საბარგო ავტომობილები. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ლიდერებმა განუცხადეს ხელისუფლებას, რომ ისინი საკუთარი ძალებით გაუმკლავდებიან კომუნისტურ დემონსტრაციებს.

ვარშავა, 3 მაისი. **1 მაისს, დილით თეატრის მოედანზე კომპარტიის დროშის ქვეშ თავი მოიყარა დაახლოვებით 8.000 კაცმა.** ტრიბუნების უქონლობის გამო კომუნისტური დემონსტრაციის მონაწილეებს ხელზე აჰყავდათ ორატორები.

როცა დემონსტრაცია დაიძრა, პოლონეთის სოციალისტური პარტიის რაზმელები, დემონსტრანტების პირველი რიგების გავლის შემდეგ, საბარგო ავტომობილებით შეიჭრენ ხალხში და სცადეს რიგების შუა გათიშვა. დემონსტრანტების პროტესტის საპასუხოდ რაზმელებმა რევოლვერების სროლა ასტეხეს, მაგრამ მაინც ხელი ვერ შეუშალეს დემონსტრაციის განცალკავებულ ნაწილს, რომ შეერთებოდა მთავარ დემონსტრაციას, რომელიც განაგრძობდა სვლას და რაზმელებს ქვებით და კეტებით იგერიებდა.

მიცკევიჩის ძეგლის მახლობლად პოლიციამ უკანიდან იერიში მიიტანა დემონსტრაციაზე და ყუმბარები დაუშინა, მაგრამ დემონსტრაციის გაფანტვა ვერ შესძლო.

დემონსტრანტებმა ჩაიარეს ქალაქის მთავარი ქუჩები, მათ წამდაუწუმ თავს ესხმოდენ რაზმელები და პოლიციელები, რომლებმაც დაბოლოს მოახერხეს დემონსტრაციის დაშლა.

შეტაკების დროს მოკლულია 4 მუშა, დაჭრილია 30-ზე მეტი. მოკლულია 1 „ოხრანკის" აგენტიც.

პოლონეთის დაბა „ნოვი დვორშიაც" გაიმართა მრავალრიცხოვანი კომუნისტური დემონსტრაცია. პოლიციამ სროლა აუტეხა დემონსტრაციას. მოკლულ იქნა 1 მუშა და დაიჭრა მრავალი.

გაზეთების ცნობით, დემონსტრანტები თითქოს ცდილობდენ პოლიციის განიარაღებას და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

საბჭოთა კავშირში

მოსკოვში

წითელ მოედანზე

დილის 7 საათზე მოსკოვის ყველა კუთხიდან თავი მოიყარეს ჯარების ნაწილებმა, კავალერიამ, არტილერიამ, ჯავშნიანმა ავტომობილებმა და ტანკებმა.

დილის 9 საათზე მოგროვდენ რაიონების დელეგაციები და დიპლომატიური კორპუსი. ტრიბუნაზე არიან —სტალინი, კალინინი, ტომსკი, რუძუტაკი, ვოროშილოვი, იაროსლავსკი და სხვები.

ვოროშილოვის სიტყვა

ფიცის მიღებამდე ვოროშილოვმა მიმართა წითელარმიელებს სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა, რომ მუშურ-გლეხური წითელი არმია წარმოადგენს პირველ შრომის სახელმწიფოს დამცველს მსოფლიოში. წითელი არმიის წყალობით, ჩვენი სახელმწიფო სოციალისტურ საფუძველზე ვითარდება. დღეს ახალგაზრდა მებრძოლები წითელ ფიცს სდებენ, რომ ისინი მედგრად დაიცავენ ოქტომბრის მონაპოვარს.

ვოროშილოვი კითხულობს წითელ ფიცს, რის შემდეგაც ესალმება ფიც-მიღებულ წითელ მებრძოლებს.

„დეე, იცოდეს მსოფლიო ბურჟუაზიამ, რომ ჩვენ მას ნებას არ მივსცემთ ხელი შეახოს ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას", წითელარმიელები ამ სიტყვებს „ურრას" მახილით ეგებებიან.

ლენინის აკლდამასთან

ალლუმის შემდეგ წითელ მოედანზე გაიარეს მუშების, მუშა-ქალების, კომკავშირელების, პიონერების და წითელარმიელების რიგებმა.

დაახლოვებით 1 მილიონმა მშრომელმა გაიარა წითელ მოედანზე ლენინის აკლდამასთან.

მასიური მოქმედება

18 საათზე კალანჩევის მოედანზე გაიმართა მასიური მოქმედება ორთქლმავლების, ავტომობილების, კავალერიის და არტილერიის მონაწილეობით. სპეციალურად მოწყობილ ესტრადაზე წარმოდგენილი იქნა რამდენიმე ეპიზოდი: საბჭოთა კავშირის ინდუსტრია, ქალაქის და სოფლის კავშირი, შრომის ნაყოფიერების აწევა და მომჭირნეობის რეჟიმი.

საქართველოში

სამხრეთ-ოსეთი

ცხინვალი, 4 მაისი. 1 მაისის დღესასწაული დიდის წარმატებით ჩატარდა. 2 მაისს თითქმის ყველა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მოაწყვეს მაისობა ქალაქს გარეთ. მაისობაზე გაიმართა სათამაშოები. მიტინგზე მოსაგონარი სიტყვები წარმოსთქვეს ძველმა მუშაკებმა.

სვანეთში

მესტია, 4 მაისი. სვანეთის ყველა კუთხეებიდან მოდის ცნობები პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარების შესახებ. მიტინგებზე პასუხისმგებელმა ამხანაგებმა გლეხებს განუმარტეს პირველი მაისის მნიშვნელობა. გლეხები აღნიშნავდენ საბჭოთა ხელისუფლების ნაყოფიერ მუშაობას სვანეთში. სამკითხველო - ქოხებში გაიმართა მოხსენებები და წარმოდგენები. მაისობაზე მოწყობილ იქნა სახალხო სათამაშოები, ცეკვა, სიმღერა და ხვა.

ახალ-სენაკში

ახალ-სენაკი, 4 მაისი. 1 მაისს გაიმართა დიდი დემონსტრაცია პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების და ფიზკულტურნიკების მონაწილეობით. მიტინგებზე გამოდიოდენ ყველა ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

საღამოს კლუბში გაიმართა უფასო წარმოდგენა.

აჭარისტანში

ბათომი, 4 მაისი. აზიზიეს მოედანზე გაიმართა გრანდიოზული მიტინგი და დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს უცხოელმა მეზღვაურებმა, რომელთაც წარმოსთქვეს მისასალმებელი სიტყვები. მიტინგი დამთავრდა სამხედრო ნაწილების ალლუმით. მაისობას დაესწრო მრავალი ათასი მოქალაქე და დღესასწაული წარმატებით ჩატარდა.

3 მაისს ჩატარებულ იქნა საბავშვო დღესასწაული. გაიმართა საბავშვო წარმოდგენები, კინო-სეანსები და სხვა.

ბორჯომში

ბორჯომი, 4 მაისი. 1-ლ მაისის დღესასწაული ბორჯომში დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა. მახლობელ სოფლების მუშებმა და გლეხებმა მონაწილეობა მიიღეს დემონსტრაციაში. ფიცის მიღების დროს აღმასკომმა წითელ არმიას გადასცა დროშა ბორჯომის მშრომელების სახელით.

საბჭოთა კავშირი

შვეციის მუშათა დელეგაცია

მოსკოვი, 5 მაისი. 1 მაისს მოსკოვში ლენინგრადიდან ჩამოვიდა შვეციის კომუნალურ მეურნეობის მუშათა დელეგაცია, რომელშიაც შედიან: შვეციის კომუნალურ მეურნეობის მუშათა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე **გუსტავშტორმი**, გამგეობის ორი წევრი—**ანდერსენი** და **ეინგმანი**. დელეგაციას თან ახლავს მთარგმნელი **ბრუსევიჩი**.

დელეგაცია მთელი შემადგენლობით დაესწრო პირველი მაისის დღესასწაულს წითელ მოედანზე და რაიონებში და გაეცნო მოსკოვის წარმოება-დაწესებულებებს. დელეგაციას აინტერესებს კომუნალურ მეურნეობის მუშათა კავშირის ამოცანები და მუშაობა ხელფასის, შრომის დაცვის და სხვ. დარგში.

8 მაისს საღამოს დელეგაცია გაემგზავრა ხარკოვში, იქიდან იმოგზაურებს შემდეგი მარშრუტით: დონი—ბაქო—თბილისი—ბათომი ყირიმი ყირიმიდან დელეგაცია დაბრუნდება მოსკოვში. საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობის ცენტრალურ ორგანოების გასაცნობად.

სარკინისგზო კონფერენცია

მოსკოვი, 5/V. **მოსკოვში გაიხსნა კავშირის მესამე სარკინისგზო კონფერენცია ლატვიის, ესტონეთის, საბჭოთა კავშირის, გერმანიის და ლიტვას წარმომადგენელთა თანდასწრებით.**

დირიჟაბლი „ნორვეგია"

ლენინგრადი, 5 მაისი. ყველაფერი მზად იყო დირიჟაბლ „ნორვეგიის" გასაფრენად, მაგრამ ქარის ამოვარდნის გამო გაფრენა 3 მაისისათვის გადაიდო. 3 მაისს, ამოვარდნილმა ქარიშხალმა ხელახლა შეუძლებელი გახადა გაფრენა. გაფრენა გადაიდო 5 მაისამდე.

ფორდის ინჟენრები

მოსკოვი, 5 მაისი. ფორდის ინჟენრებმა ინახულეს საბჭოთა რუსეთის მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატი. ერთ-ერთმა ინჟენერმა განაცხადა, რომ ფორდს განზრახული აქვს მოაწყოს მოძრავი სატრაქტორო რაზმი, რომელიც უჩვენებს მოსახლეობას ტრაქტორების მუშაობას და ტრაქტორების მოვლას.

განზრახულია მოეწყოს სანიმუშო მოძრავი სახელოსნოები, რომლებშიაც იმუშავებენ გამოცდილი ინსტრუქტორები.

ფორდს განზრახული აქვს მოაწყოს სატრაქტორო გადარბენა თბილისიდან, სადაც მონაწილეობას მიიღებს სასოფლო სამეურნეო იარაღების გამოფენაში და ჩრდილოეთ კავკასიიდან ავიდეს ხარკოვში და იქიდან სტალინგრადში და ნიჟეგოროდის ბაზრობაზე. ნიჟეგოროდიდან ტრაქტორები ვოლგაზე იქნება ჩატარებული.

სხვადასხვა

— **გერმანიის ქვეშევრდომთა ქონება ეგვიპტეში.** მსოფლიო ომის დროს ინგლისის ხელისუფლებამ ეგვიპტეში ქონება ჩამოართვა ყველა იმ მოქალაქეებს, რომელნიც ინგლისის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოების ქვეშევრდომნი იყვნენ.

ქაირიდან მიღებული ცნობით, ჩამორთმეული ქონების შემნახველმა ბრძანება გასცა დაუბრუნდეს ჩამორთმეული ქონება პატრონებს, თუ ის არ არის გაყიდული ან გასაჩივრებული სასამართლოს წესით.

— **აჯანყება სომალში.** გაზეთების ცნობით ფართოვდება აჯანყება სომალში (იტალიის კოლონია აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში). იტალიის ჯარები გაცხარებულ ბრძოლას აწარმოებენ ადგილობრივ მცხოვრებლებთან.

„დეილი ნიუზის" ცნობით, იტალიელები ძალიან დაზარალდენ.

— **შეტევა მაროკოში.** გენერალ დე-რივერას ცნობით. მაროკოში საფრანგეთის ჯარები გადავიდენ შეტევაზე მთელ ფრონტზე.

— **ოსმალეთის მთავრობის დელეგაცია.** ამ დღეებში ანგორიდან მოსკ. მიემგზავრება სახალხო განათლების სამინისტროს დელეგაცია, რომელშიაც შედიან: სამინისტროს საინსპექციო კომისიის თავმჯდომარე რიდვან-ნავიზ-ბეი და სამინისტროს გენერალური ინსპექტორები სალიფ-ვექი-ბეი და ხალმი-ბეი.

—**ოსმალეთი მხარს უჭერს ჩიჩერინის თვალსაზრისს** მთავრობის ოფიციოზი **„ხაკიმიეთ მილიე" სწერს,** რომ ოსმალეთი სავსებით იზიარებს საბჭოთა კავშირის საგარეთ საქმეთა სახალხო კომისრის გ. ჩიჩერინის შეხედულებას განიარაღების საკითხში.

პარტიული ცხოვრება

ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციათა გაფართოებული თათბირი

პირველი სხდომა

გუშინ, 5 მაისს, საღამოს 7 საათზე სასახლის წითელ დარბაზში გაიხსნა ა.-კ. პარტორგანიზაციათა გაფართოებული თათბირი. თათბირი გახსნა ამხ. **სერგო ორჯონიკიძემ**, რომელმაც მოკლე სიტყვაში აღნიშნა მისი მნიშვნელობა და ის ამოცანები, რომელიც სდგას თათბირის წინაშე. მისივე წინადადებით თათბირმა მცირეოდენი შესწორებით დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი და რეგლამენტი.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. **მამია ორახელაშვილის** ვრცელი მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას უკანასკნელი პლენუმის მუშაობაზე.

მოხსენების შემდეგ თათბირმა ერთხმად მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია

„მოისმინა რა მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას აპრილის პლენუმის დადგენილებათა შესახებ, საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტთან მოწვეული საოლქო პარტიული თათბირი სავსებით უერთდება ამ დადგენილებებს, რომლებიც წარმოადგენენ კონკრეტიულ დირექტივებს იმ საერთო სამეურნეო დირექტივის განსახორციელებლათ, რომელიც მოცემულია პარტიის მე-14 ყრილობის მიერ.

პლენუმი სრულიად სწორად და დროულად აქცევს ყურადღებას და მიმართავს პარტიის და ყველა მშრომელების ნებისყოფას უმთავრესად ჩვენი ჩამორჩენილი და აგრარული რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციისაკენ.

პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის ინდუსტრიალური გარდაქმნის პროცესში თავიდან იქნება აცილებული ისტორიულად ჩამოყალიბებული დისპროპორცია მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობას შორის და გაიფანტება ის სამეურნეო დაბრკოლებანი, რომლებიც წარმოიშვა ამ დისპროპორციის ნიადაგზე.

ამასთანავე ერთად, ნამდვილი ინდუსტრიალიზაცია უზრუნველჰყოფს საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო დამოუკიდებლობას, რომლებიც სოციალიზმის აღმშენებლობას აწარმოებენ კაპიტალისტური გარემოცვის და ტეხნიკურ - ეკონომიურ ჩამორჩენილობის პირობებში.

ინდუსტრიალიზაცია წარმოუდგენელია მტკიცე, გეგმიან ცენტრალიზაციაქმნილ ხელმძღვანელობისა და მრეწველობის გარდაქმნისათვის ასე თუ ისე საკმაო ფონდების დაგროვების და მთელი ჩვენი მეურნეობის სოციალიზმის გზით შემდეგი განვითარების გარეშე.

რამდენადაც კაპიტალისტური დაგროვების გზა და მეთოდი ჩვენთვის აბსოლიუტურად მიუღებელია, რამდენადაც არ შეგვიძლია ვიქონიოთ იმედი საკმაოდ მსხვილ სამრეწველო სესხის მიღებისა უცხოელებისაგან და, დაბოლოს, რამდენადაც მთავარი ბაზარი საბჭოთა მრეწველობისათვის არის და იქნება შინაური ბაზარი, ე. ი. უმთავრესად გლეხური ბაზარი, იმდენად ინდუსტრიალიზაციის გეგმები და სამრეწველო აღმშენებლობის ფინანსიური დახმარება რაც შეიძლება მტკიცეთ უნდა იყოს შეფარდებული სასოფლო მეურნეობის, როგორც მრეწველობის ძირითადი ბაზის შესაძლებლობასთან და გლეხობის, როგორც პროლეტარიატის პოლიტიკურ მოკავშირის, ინტერესებთან.

არავითარ გაქანებას არსებულ ნივთიერ საშუალებებთან შეუფარდებლად, არავითარ არა რეალურ გეგმას არ უნდა ექნეს ადგილი ჩვენს პრაქტიკაში.

საშუალებების გამოძებნა ინდუსტრიალიზაციისათვის ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ქვეყნის შიგნით, სადაც ოქტომბრის რევოლიუციამ მშრომელთა სახელმწიფოს გადასცა ხელში დაგროვების ძირითადი წყაროები. ყოველთვის ჩვენ ეს წყაროები არა გვაქვს სათანადო მდგომარეობაში. მრეწველობა, ტრანსპორტი, გზები საგარეო და საშინაო ვაჭრობისა, კოოპერატიულისა და სახელმწიფოს, კრედიტის და სხვა შეიძლება იყვენ და უნდა იქნენ იმ ფონდების დაგროვების წყაროებათ, რომელიც საჭიროა სამრეწველო აღმშენებლობისათვის.

ცეკას პლენუმი ამჟამად სწორად აყენებს პარტიის, მთელი ქვეყნის სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის და აგრეთვე კოოპერაციის წინაშე მომჭირნეობისათვის ბრძოლის ლოზუნგს. ეს ლოზუნგი სხვა ლოზუნგებისაგან მით განსხვავდება, რომ მას საკმაოთ ხანგრძლივი მომავალი აქვს: ამიერიდან დიდხანს მომჭირნეობა და ეკონომიურობა ინდუსტრიალიზაციის ხელის შესაწყობათ და ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობისათვის ხდება სავალდებულო თვისებათ კარგი სამეურნეო მუშაკის, ადმინისტრატორისა და კოოპერატორის საბჭოთა რესპუბლიკაში.

სახელმწიფო დაწესებულებათა საერთო ეკონომიის კერძო გამოხატულება იქნება ის მარაგი, რომელსაც სახელმწიფო შექმნის საბიუჯეტო, საექსპორტო-საიმპორტო (აქტიური ბალანსი), სავალიუტო, პურის დამზადების, ქვეყნის თავდაცვის ხაზით და სხ. ეს პრინციპი პროლეტარიატში გამოიწვევს შრომის ნაყოფიერების ზრდას. რაც სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებზე ფასების დაკლებასთან ერთად, უზრუნველყოფს შრომის ხელფასის მიღწეულ დონეს შენარჩუნებას იმ დრომდე, სანამ შიქმნებოდეს რეალური შესაძლებლობა მისი შემდეგი გადიდებისა.

კერძოთ ამიერ-კავკასიისათვის ც. კ. პლენუმის გადაწყვეტილება შლის ახალ ფართე პერსპექტივებს. ნავთის, მარგანეცის, ბამბის, მატყლის, აბრეშუმის ქვეყანას, მდიდარი ტყის, მთის და წყალის მრავალმილიონიან ენერგიის მქონე ქვეყანას სრული შესაძლებლობა აქვს საბჭოთა კაპიტალის ნაყოფიერად გამოყენებისა.

მაგრამ საბჭოთა კაპიტალის ეს შეერთება ამიერ-კავკასიის ფედერაციის ბუნებრივ სიმდიდრესთან, რაც უკვე დეწყებულია, წავა წინ ჩქარი ნაბიჯით, თუ ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები უკლებლივ და სისწორით გაატარებენ ცხოვრებაში ცეკას უკანასკნელ დადგენილებებს და ამით ამიერ-კავკასიის ხალხების ნაციონალურ სოლიდარობისა და მუშა და გლეხთა მტკიცე კავშირის საფუძველზე უზრუნველყოფენ სოციალისტურ დაგროვების შესაძლებლობას. ჩვენ ვპირდებით პარტიას ყოველგვარ ღონისძიების მიღებას იმისათვის, რომ უსასტიკეს ეკონომიის საფუძველზე კიდევ უფრო განვავითაროთ მრეწველობის ნედლეულის წარმოება და მრეწველობის საგანთა ექსპორტი.

იმ საპასუხისმგებლო პერიოდში, რომელშიაც შედის სოციალისტური მშენებლობა—მშენებელთა აქტივობა ხდება მთელი მუშაობის კარგათ ჩატარების აუცილებელ პირობათ. მთელ პარტიასთან ერთად ჩვენ ყოველგვარ დახმარებას გაუწევთ მშრომელთა ამ აქტივობის განვითარებას.

სოციალიზმის ურყევი საძირკვლის აღმშენებლობის დროს პროლეტარიატის ავანგარდის და ხელმძღვანელის—ლენინური პარტიის ერთიანობა არის აბსოლიუტური აუცილებლობა. მთელ პარტიასთან ერთად და პარტიის მეთოთხმეტე ყრილობაზე არჩეულ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით—ჩვენ, შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე, ვიბრძოლებთ ყოველგვარ მოვლენის წინააღმდეგ, რომელიც დეზორგანიზაციას შეიტანს სოციალიზმის აღმშენებლობისათვის წარმოებულ ჩვენს მუშაობაში.

დასასრულ თათბირმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩი"-ს მისი არსებობის 20 წლის იუბილეს გამო.

ამით დამთავრდა პირველი სხდომა. დღეს დაიწყება მოხსენებები ადგილებიდან.

ჩვენი პარტმუშაობის ნაკლი სოფლად

ზოგიერთ კომუჯრედების მუშაობას სოფლად ნაკლი ახლავს.

რაში გამოიხატება ეს ნაკლი?

ხშირია შემთხვევა, როცა უჯრედის მდივანი იწვევს კრებას, თვით კი არ ცხადდება დანიშნულ დროზე. უჯრედის წევრებს უნაყოფოთ რამოდენიმე საათი ეკარგებათ და ბოლოს იძულებულნი არიან დაიშალონ. მათ გული უცრუვდებათ და მეორეჯერ უკვე აღარ ცხადდებიან მოწვეულ კრებაზე, რადგან ფიქრობენ, კრება მაინც არ შესდგებაო. ამ რიგად, ზოგ სოფლებში თვეში ერთხელ არ ხერხდება უჯრედის საქმიანი კრების მოწვევა.

არის სოფლად ისეთი უჯრედებიც, რომელთაც გასაბჭოების შემდეგ არც ერთი ახალი წევრი არ მიუღიათ თავის რიგებში. ცხადია, ასეთ უჯრედს არ უწარმოებია არავითარი მუშაობა აქტიური გლეხების პარტმუშაობაში ჩასაბმელად. ზოგან უჯრედები სრულიად არ სცდილობენ შემოიკრიბონ თავის გარშემო ღარიბი და საშუალო გლეხები. ამას კი არა სასურველი შედეგები მოსდევს: იკარგება კავშირი უპარტიო გლეხობასთან, გლეხობა სწყდება პარტიულ ხელმძღვანელებს და ზოგიერთ შემთხვევაში კულაკების და ჩარჩ-ვაჭრების გავლენის ქვეშ იმყოფება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბევრ თემებში დღესაც ვერ ჩამოაყალიბეს უჯრედებმა საბჭოების, კოოპერაციის და სოფლის სხვა ორგანიზაციების კომუნისტური ფრაქციები.

უჯრედების მუშაობის სისუსტე უმთავრესად აიხსნება შესაფერის პარტორგანოების სუსტი ხელმძღვანელობით და ცოცხალი კავშირის უქონლობით. სოფლის კომუჯრედების მდივნებს არ ეძლევათ ინსტრუქციები და დირექტივები, არ სწარმოებს ადგილობრივათ მათი მუშაობის გამოკვლევა. მართალია, აქა-იქ შემთხვევით ჩაივლის მივლინებული ამხანაგი მაზრიდან, ნახევარ საათში გადაათვალიერებს ოქმებს და მიდის, მაგრამ ეს რასაკვირველია, არ კმარა, ამგვარი „დათვალიერება" ბევრ ნაყოფს ვერ მისცემს უჯრედებს და ვერ შეუწყობს ხელს მათი მუშაობის გაცხოველებას.

უჯრედების მუშაობაში აღნიშნულ ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა ხელმძღვანელების გაძლიერება მაღლა მდგომ პარტიულ ორგანიზაციების მხრივ, ინსტრუქტორების მივლინება, მათი მუშაობის საფუძვლიანათ გამოკვლევა. და შესაფერის დირექტივების მიცემა. საჭიროა აგრეთვე სუსტი უჯრედების მდივნების გამოწვევა და მათი მოხსენებების მოსმენა რაიკომების სხდომებზე.

იანე—ელიძე.

პოლიტგანმანათლებელი მუშაობა თელავის მაზრაში

მაზრის მთავარ პუნქტებში მთელი ზამთრის განმავლობაში მუშაობას აწარმოებდენ პოლიტუცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. მეცადინეობა სწარმოებს დღესაც. მსმენელთა გამოშვება ჯერჯერობით ყველგან არ არის დამთავრებული. გამრავლდა შარშანდელთან შედარებით სოფლად ქოხ-სამკითხველოები, რომლის გამგეებათ დაგზავნილია შესაფერისად მომზადებული ამხანაგები. ქოხ-სამკითხველოებთან არსებულ წრეების მუშაობაში ჩაბმულია მასწავლებლობა, ექიმები და აგრონომები. მასწავლებლები უკითხავენ გლეხობას გაზეთებს და ლექციებს ბუნების მეტყველებიდან, ფიზიკურ მოვლენების შესახებ და სხვა, ექიმები ჰიგიენაზე, ხოლო აგრონომები პრაქტიკულად ასწავლიან გლეხებს ვაზის მოშენება-მოვლას.

ჯ.

როგორ კეთდება გაზეთი

(ბეჭდვითი სიტყვის დღის გამო)

[illegible] უმთავრესად—ინფორმაციაა. აქე[illegible] ძლიერეს საწინააღმდეგო მოვალეობა[illegible] მის წინაშე. პირველ[illegible] ბევრი და რაც შეიძლება უკანასკნელი ცნობები აღბეჭდოს[illegible] უფრო—რაც შეიძლება ადრე [illegible] მიაწოდოს მან ეს ცნობები მკითხველს.

პირველი მოთხოვნილება ძნელი შესათანხმებელია მეორესთან, რადგან ბევრი და ახალი ინფორმაცია მეტ მუშაობას და მეტ დაცდას ითხოვს; მეორე კი—არ ეთანხმება პირველს, რადგან ნაადრევათ გამოსულ გაზეთში ბუნებრივად ვერ მოხვდება ყველა [ცნობ]ა, რომელიც რედაქციის პორტფელში [illegible] მას შემდეგ, რაც გაზეთი [illegible] ჩაშვებული და იბეჭდება [illegible] დევების დაძლევა შესაძლო [illegible] განვითარებული საგაზეთო კვალიფიკაციური მუშა[illegible]

[illegible] წინააღმდეგობა, რომელთან [illegible] გაზეთის კეთება რედაქციას [illegible] აქედან გამომდინარეობს მუშაობის თავისებური თვისებები, რომელიც ახასიათებს საგაზეთო საქმიანობას.

ცხოვრება მიდის, მუშაობა სწარმოებს, ამბები ხდება, ყველგან მოძრაობა და სიცოცხლეა, გაზეთი მოვალეა თვალი ადევნოს ყოველგვარ რამდენადმე მაინც მნიშვნელოვან მოვლენას და რაც შეიძლება ადრე, სრული სისწორით მიაწოდოს ეს ცნობები მკითხველს. ამიტომაა, რომ რედაქცია დღე და ღამე თითქმის თვრამეტი საათის განმავლობაში დაჭიმული ნერვებით მუშაობს. ამითვე აიხსნება ნაწილობრივ ის ნაკლულევანებანი, რომელიც გაზეთს ახასიათებს არაყურადღებიანობის შედეგათ გამოცემისაგან ([illegible], ენის სისუფთავე, [illegible] დასხრილი ნაბეჭდი და სხვა). მდგომარეობა კიდევ უფრო ნათელი შეიქნება ჩვენთვის, თუ წარმოვიდგენთ იმ მძიმე ტეხნიკურ პირობებს, რომელშიაც უხდებოდა არსებობა ჩვენს გაზეთებს უკანასკნელ ხანებამდე და რომელიც, ჩვენდა საბედნიეროთ, სულ მოკლე ხნის განმავლობაში სავსებით აღმოფხვრილი იქნება *).

საიდან აგროვებს რედაქცია ყველა იმ ცნობებს, რომელიც მეორე დღეს უნდა მიაწოდოს მკითხველს? როგორც ვიცით, საგაზეთო ინფორმაცია მრავალფეროვანია: საგარეო ინფორმაცია, საბჭოთა კავშირის ამბები, საბჭოთა საქართველოს შინაური ინფორმაცია, და ბოლოს ადგილობრივი ინფორმაცია, ე. ი. იმ ქალაქის ყოველდღიური ცხოვრება, სადაც იბეჭდება გაზეთი. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ცალ-ცალკე აღებული ყველა ეს ინფორმაცია თავის მხრივ მრავალ სხვადასხვა სახის დარგებზე იყოფა: პოლიტიკური ხასიათის ცნობები, ეკონომიური აღმშენებლობა (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კომუნალური მშენებლობა, [illegible]ბა და სხვა), სწავლა-განათლების საქმე, ხელოვნება, მოსახლეობის ჯანმრთელობა, სპორტი, სასამართლო, მრავალი წვრილმანი შემთხვევები, მოსახლეობის მოძრაობა და სხვა ამგვარი.

* *
*

როგორ შეუძლია რედაქციის საკუთარი ძალების ანაბარათ გასწვდეს ყოველივე ამას? მართალია, მას ჰყავს სამსიოთ თანამშრომელთა სპეციალური შტატი რეპორტიორების სახელწოდებით, მაგრამ ჯერ ერთი, რეპორტიორთა რიცხვი ერთობ განსაზღვრულია, რაც ნივთიერ ხელმოკლეობით აიხსნება და, ესეც რომ არ იყვეს, რაც უნდა გაადიდოთ რეპორტიორების შტატი, მათ ხომ ზღაპრული ქინძმარინის ქუდი არ ახურავთ, რომ ყველგან გაჩნდენ და ყველაფერს გასწვდენ?

ინფორმაციის და, უმთავრესად, გარეშე ინფორმაციის მთავარი წყარო ტელეგრაფის სააგენტოა და საკუთარი კორესპონდენტები. შინაური და ადგილობრივი ინფორმაციის მთავარი წყარო რეპორტიორების მიერ მოტანილი მასალებია. დიდ სამსახურს უწევენ აგრეთვე გაზეთს მუშა და გლეხი კორესპონდენტები, რომელიც ფუტკრებივით დაფანტული არიან ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეებში და დიდი სიყვარულით აწვდიან მასალას რედაქციას ჩვენს ყოველგვარ დაბრკოლება-წარმატებებზე.

გარდა ამისა, არის ისეთი დაწესებულება-წარმოებები, რომელნიც სათანადო ყურადღებით ეკიდებიან პრესის ხმას და მნიშვნელობას და ამიტომ საკუთარი ინიციატივით აწვდიან გაზეთს ცნობებს თავიანთ მუშაობის შესახებ.

ამას დაუმატეთ რედაქციის ძირითადი პასუხისმგებელი მუშაკები რედაქტორიდან დაწყებული განყოფილებათა გამგეებისა და სამდივნოთი გათავებული და წერილის მომწოდებელი შემთხვევითი, თუ მუდმივი გარეშე პირები და თქვენ წინაშე წარმოსდგება სრული სურათი ყოველდღიურ საგაზეთო მასალის შემკრებ-დამმუშავებლებისა.

ასეთია ის წყაროები, რომლებითაც იკვებება გაზეთი. მაგრამ ყველა ცალკე აღებულ ამ წყაროებს თავისი ნაკლიც აქვთ, რომელიც აფერხებს ყოველდღიურ საგაზეთო მუშაობას. მე აქ არაფერს ვიტყვი საკავშირო ტელეგრაფის სააგენტოს მუშაობაზე. ნაკლი აქაც, რასაკვირველია, საკმარისზე მეტია, რასაც ყველაზე უკეთ თვით სააგენტო გრძნობს და ღებულობს ზომებს მის გამოსასწორებლად.

მე მინდა შევჩერდე გაზეთის საკუთარ შტატის მუშაობის პირობებზე და ამ მუშაობის მტკივან მხარეებზე.

* *
*

დავიწყოთ პირველ ყოვლისა, რეპორტიორებიდან. რეპორტაჟი, როგორც უკვე ვთქვით, შინაურ და ადგილობრივ ინფორმაციის მთავარი წყაროა. რეპორტიორების საშუალებით რედაქცია მუდმივ ცოცხალ კავშირშია დაწესებულება- წარმოებებთან. რომ ეს კავშირი ნორმალური და სრული იყვეს, ამისათვის საჭიროა, რომ დაწესებულება-წარმოებებიც ისეთივე ყურადღებით ეკიდებოდენ თავიანთ მუშაობის [illegible] [illegible] საბჭოთა [illegible] წყობილების პირობებში გაზეთი არ წარმოადგენს კერძო პირის საკუთრებას, ან სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფების გამომცემლობას.

პროლეტარიატის დიქტატურის დროს შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთად-ერთი პრესა, პრესა მშრომელთა ხელისუფლების ინტერესის გამომხატველი და მის აღმშენებლობა-მიღწევების იდეური ორგანიზატორი. ამიტომ ბუნებრივია საბჭოთა გაზეთის მოთხოვნა დაწესებულება-წარმოებებისადმი, რომ მათ, თუ თავიანთი ინიციატივით არა, რეპორტიორის მეშვეობით მაინც იქონიონ მჭიდრო კავშირი რედაქციასთან და მიაწოდონ მას თავიანთი მუშაობიდან ვრცელი ცნობები.

სინამდვილეში კი ბევრ შემთხვევაში წინააღმდეგს ვხედავთ. თუ ვისმე შეუძლია საყვედური გამოსთქვას ჩვენი დაწესებულება-წარმოებების ბიუროკრატიზმზე, მათ შორის პრესასაც უთუოდ ეკუთვნის სიტყვა. გაზეთი ხშირად ყველაზე მეტად გრძნობს ამ მემკვიდრეობითი სენის მავნებლობას ჩვენს მართველობის აპარატში, რომელსაც ებრძვის პარტია და ხელისუფლება, ვინაიდან გაზეთს თავისი მდგომარეობის მიხედვით ყველგან და ყველასთან უხდება საქმის დაჭერა.

რეპორტიორს ხშირად უცქერიან, როგორც მაბეზარ სტუმარს, რომელიც ერევა დაწესებულების შინაურ ცხოვრებაში და არღვევს მის მშვიდობიან მუშაობას. მასალის მიწოდება რეპორტიორისათვის, ზოგჯერ მოწყალების გაცემათ, ან, უკეთეს შემთხვევაში, პატივისცემათ უფრო მიჩნეული, ვიდრე მოვალეობათ. ჩვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს შეხედულება უფრო ფეხმოკიდებულია დაწესებულება-წარმოებების საშუალო ტეხნიკურ მუშაკებში, ვიდრე ხელმძღვანელ პირებსა და დაბლა მასის შორის. უფრო,—ვამბობ მე,—იმიტომ, რომ არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი პასუხისმგებელი ამხანაგიც იჩენენ ამგვარ გულგრილობას რეპორტიორისადმი და, მაშასადამე, საკუთარი გაზეთისადმიც.

შემთხვევამ მოიტანა და უნდა დავასახელოთ ერთი დამახასიათებელი ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულ ზაფხულზე, როცა ჩვენში განსაკუთრებით ხშირად ჩამოდიოდენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მუშათა დელეგაციები. ერთი ასეთი დელეგაცია ავტომობილით მიემგზავრებოდა ზემო-ავჭალის ჰიდროელსადგურის და თბილისის გარეუბნების დასათვალიერებლად. ბუნებრივია, რომ პრესის წარმომადგენელიც მათ თან უნდა გაჰყოლოდა. მიუხედავათ ამისა, გაზეთის წარმომადგენელი მოურიდებლად ჩამოსხეს ავტოდან. ის ზედმეტ ბარგათ მიიჩნიეს.

აბა ისეთი დაწესებულებები და წარმოებები ხომ თითქმის ჩამოსათვლელია, რომელნიც თვითონვე გაიჯიბიან და დაიბარებენ რეპორტიორს, ან საკუთარი ხელით გამოგზავნიან გაზეთში ინფორმაციას. ყოველივე ამას ჩვენ იმიტომ არ ვამბობთ, რომ ვინმე რამე გუსაყვედუროთ, ან ბრალი დავდოთ. დღეს პრესის დღეა, ამიტომ, ცხადია, ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ ის დაბრკოლებანი, რომელნიც ხელს უშლიან გაზეთის ნორმალურ მუშაობას და ჩვენც ამიტომ ვჩერდებით მათზე. მით უფრო, აქ ჩვენ მარტო გაზეთის ინტერესი არ გვალაპარაკებს, არამედ ჩვენი საზოგადო ტკივი[illegible]

* *
*

გადავიდეთ ეხლა მუშა და გლეხ კორესპონდენტებზე. მათი მონაწილეობაც უთუოდ დიდია გაზეთის შედგენაში. მუშა და გლეხ კორესპონდენტების მიერ მოწოდებული მასალა ყველაზე მეტად ნედლი და მოუხარშავია იმ მასალებიდან, რომელიც რედაქციას შემოსდის. ამიტომ, ცხადია, ამ მასალის გაშალაშინება, მისი გაზეთისათვის გადამუშავება ყველაზე მეტ დროს და ენერგიას ითხოვს რედაქციისაგან. მაგრამ სწორედ იმიტომა რომ ეს მასალა ნედლი და დაუმუშავებელია და რომ არაკვალიფიციურ ჟურნალისტის კალმისაგანა გამოსული, მას განსაკუთრებული ფასი აქვს გაზეთისათვის. მუშა და გლეხ კორესპონდენტის მასალის რკინისა და მიწის სუნი უდის. ის ცოცხალი დოკუმენტია, ცოცხალ ადამიანის ხელით დაწერილი, რომელთაც, საზოგადოთ, არ ახლავს ყალბი ფათოსი და რომელიც ჩამოსხმული არაა არაფრის მთქმელ მიკიბულ-მოკიბულ, თუნდაც ლიტერატურულად დახვეწილ წინადადებებში. ის ნამდვილი ანარეკლია სოფლისა და ქალაქის ცხოვრების. და ამიტომ რედაქცია მას განსაკუთრებული სასოებით ეკიდება.

მაგრამ, მოგეხსენებათ, სრულყოფილი არაფერია ამ „ცოდვილ" მიწაზე. გამონაკლისს ამ შემთხვევაში არც მუშა და გლეხ კორესპონდენტების მოძრაობა წარმოადგენს. ბევრი ბოროტად იყენებს რედაქციის ნდობას და მუშა და გლეხ კორესპონდენტის სახელით ცდილობს გაზეთი ვისმესთან პირადი ანგარიშის გასასწორებელ იარაღად გამოიყენოს. ცნობილია, რომ პრესის ხმა, განსაკუთრებით ჩვენს პირობებში დიდმნიშვნელოვანია და ამაზე უკეთეს საშუალებას მოწინააღმდეგის [illegible] ტალახში ამოსასვრელად და დასამცირებლათ, იშვიათად თუ იპოვის წვრილმანი კინკლაობით გატაცებული ადამიანი.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მუშა ან გლეხი კორესპონდენტი რომელიმე ასეთი პირის გავლენის ქვეშ მოჰყვება და მათი შთაგონებით შედგენილ წერილებს აწვდის რედაქციებს. არის ისეთი მაგალითებიც, როცა სოფლისა და ქარხნის კორესპონდენტი უნებლიე შეცდომას სჩადის, შეუმოწმებელ ფაქტებზე აშენებს კორესპონდენციებს და ამით შეცდომაში შეჰყავს გაზეთი.

რედაქციას არ შეუძლია, რასაკვირველია, თვითეული ბოროტების მამხილებელი კორესპონდენცია შეამოწმოს. ამისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა ფაქტის ადგილობრივათ გამოკვლევა. კორესპონდენციათა რიცხვი კი აუარებელია. რომ შესძლოს რედაქციამ მათი წინასწარ შემმოწმებელი შტატის შექმნა, ეს მიუღებელია გაზეთის თვალთახედვითაც, სანამ ფაქტი გამოიძიება—ის უკვე ძველდება და ჰკარგავს გაზეთისათვის ინტერესს. გარდა ამისა, რედაქცია საგამომძიებლო ფუნქციებს ვერ მიითვისებს. ამისათვის ჩვენ გვყავს სათანადო სახელმწიფო ორგანოები.

ამიტომ ამ ბოროტებასთან ბრძოლა, რომელიც ახლავს თან მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობას, სწარმოებს სხვა საშუალებით. ისეთ მამხილებელ კორესპონდენციების, რომელთა სინამდვილეშიაც რედაქციას ეჭვი ეპარება, ან რომელთა გამოქვეყნებაც ხელს უშლის გამოძიებას წარმოების, რედაქცია უგზავნის სათანადო სახელმწიფო ორგანოებს. ჩვენ [illegible] გაზეთში ბო[illegible]როტმოქმედების გამოქვეყნების შემდეგ დაინტერესებული პირები სასწრაფოდ ღებულობდენ ზომებს დანაშაულის კვალის წასაშლელად და წყლიდან მშრალად ამოდიოდენ. შემდეგ კი ასეთ პირებს იერიში მიჰქონდათ „ცრუ" კორესპონდენტებზე, რომლებმაც უდანაშაულოთ ლაფში ამოსვარეს მათი პატიოსანი სახელი.

გარდა ამისა, აშკარა ცილისმწამებელ კორესპონდენციებს რედაქცია თვითონ ანადგურებს. თუ, მიუხედავათ ამისა, მაინც გაიპარა გაზეთში ასეთი ხასიათის წერილი და რედაქცია დარწმუნდა, რომ ეს მართლაც ასეა, ის ფარდას ხდის ცრუ კორესპონდენტის ვინაობას და ამრიგათ საზოგადოებრივ სამსჯავროს წინაშე გამოჰყავს ის. ასეთი შემთხვევას, როგორც მკითხველს ემახსოვრებათ, ჰქონია ადგილი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

ასეთია მუშა და გლეხ კორესპონდენტების მოძრაობის ერთი მტკივნეული მხარე, რომელიც ზოგჯერ უარყოფით განწყობილებას ჰქმნის თვით მუშა და გლეხ კორესპონდენტების სახელის წინააღმდეგ და რომელიც დაუმსახურებელ საყვედურებს იწვევს რედაქციის მიმართ.

მაგრამ ამავე დროს ვერავინ უარყოფს იმას, თუ რა დიდი დამსახურება მიუძღვის მუშა და გლეხ კორესპონდენტებს ბოროტმოქმედების, დაუდევრობის, ბიუროკრატიზმის და ჩვენს სხვა მტკივან მხარეებთან ბრძოლაში. ვერავინ უარყოფს იმას, რა დიდი ღვაწლი მიუძღვის მათ ახალ ყოფაცხოვრების, ახალ საზოგადოებრიობის განმტკიცება-გაფართოებაში და საბჭოთა მეურნეობის აღმშენებლობა-წარმატების საქმეში. ისეთ ბოროტმოქმედებათა რიცხვი, რომელნიც თავიდან აცდენილი გვექვს მხოლოდ იმის შიშით, რომ გაზეთის ფურცლებზე „გამომჭიმავენო", ხომ ანგარიშში არ შედის?

მართალია, მუშა და გლეხ კორესპონდენტებს ემჩნევა გადახრა მამხილებელ მასალების მოწოდებისაკენ, მაგრამ ვერ დავივიწყებთ, რომ ეს გარემოება ჩვენივე სინამდვილეში პოულობს ნიადაგს. ჯერ კიდევ ერთობ ბევრია გასაკეთებელი და გამოსასწორებელი, ჯერ კიდევ მრავალი ტკივილები გვაქვს ჩვენ, რაც ბუნებრივათ იპყრობს მშრომელ კორესპონდენტის ყურადღებას.

* *
*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაზეთის მასალებით ერთ-ერთ მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენენ შემთხვევითი, თუ მუდმივი გარეშე თანამშრომლები და რედაქციის ძირითადი პასუხისმგებელი მუშაკები. აქედან გაზეთი უმთავრესად ღებულობს პრინციპიალ, ანუ, როგორც სხვანაირათ ეძახიან, სახელმძღვანელო ხასიათის წერილებს, მხატვრულ ნაწარმოებებს, კრიტიკულ განხილვებს და სხვა.

პირველ ყოვლისა, გარეშე თანამშრომლებზე. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ, რამდენადაც ბევრია ჩვენში საპასუხისმგებლო წერილების მომწოდებელთა პრეტენდენტები, იმდენათ ნაკლებია ისეთი თანამშრომლები, რომელთა ნაწარმოებსაც მართლაც აქვს რაიმე პრინციპიალური ან პრაქტიკული ღირებულება. საქართველოს ხუმრობით „მგოსანთა" ქვეყანას ეძახიან. ამ მწარე სინამდვილის ტკივილებს ყველაზე მეტად გაზეთი განიცდის თავის თავზე. იშვიათად თუ შემოვა რედაქციაში გარეშე წერილი, რომელიც გასაგები, [illegible] [illegible] ენით იყვეს დაწერილი [illegible] ტერიებზე, ცის თაღებში ნავარდობენ, იშვიათად თუ ვისმე დაუცდება ფეხი და მიწაზე დაეშვება, იშვიათად თუ ვინმე ჩასჭიდებს ხელს საჭირბოროტო სადღეისო საკითხს და დალაგებულ აზრით გადმოგვცემს მას.

ცხადია, ასეთ წერილების საუკუნო განსასვენებელი ადგილი სარედაქციო კალათია. უსიამოვნება კი ამ ნიადაგზე მრავალია. ვინ იცის, რა ცოდვებს არ აწერენ რედაქციას. აღსანიშნავია, რომ აქ ერთხელ კიდევ მართლდება საყოველთაო თქმულება: პუბლიცისტის მორიდებულობა მისი ცოდნით განიზომებაო.

მაგალითისათვის მოვიყვან ამონაწერს ერთ ასეთ წერილიდან, რომლის ავტორმა „ქვა ააგდო და თავი შეუშვირა"—„როგორ არ დაბეჭდეთ ჩემი წერილიო". რა აღმოჩნდა? საკითხი შეეხება მევენახეობას. წერილის ავტორი აგრონომია, უმაღლესი განათლების კაცი. ის სწერს:

„ფილოქსერა დიდი უბედურებაა, დიდი მსხვერპლია, მაგრამ დიდ მსხვერპლს დიდი შედეგები მოჰყვება ხოლმე (?). სანამ ძველი გაშენებული ვენახები, დამყარებული ძველ ცოდნა-გამოცდილებაზე, სანამ მათი მფლობელობა დამუშავების ძველი ფორმა და საშუალებანი იძლევიან მინიმუმს მაინც ნაყოფისას, რაიმე ახალის შეტანა სასოფლო მეურნეობაში და კერძოდ კი მევენახეობაში, თუ შეუძლებელი არაა ძალიან ძნელი და უკეთეს შემთხვევაში პროგრესი კაცს ნიჭით მოიჩენს ხოლმე... ჩვენი მევენახეობა tabula rasa და ხელმძღვანელის უნარზე და სურვილზე ბევრათაა დამოკიდებული თუ რა იქნება ზედ წარწერილი"...

მკითხველო, გაიგეთ რამე? ვერც ჩვენ გავიგეთ, მგონია ამ აზრისანი იქნებიან კახელი მევენახე გლეხებიც(რომელთაც გრძნეული გულით უძღვნიდა ავტორი ამ წერილს. ეს რაც შეეხება წერილებს. ხოლო მხატვრულ ნაწარმოებზე მდგომარეობა უფრო აუტანელია. ლექსები, მოთხრობები და პიესები ხშირი [illegible] ხილია გაზეთის ფოსტაში. ეს კიდევ არაფერი, თუ მათ ფოსტით იღებ, მაშინ ამ პოეტურ მასალას ისეთ არაპოეტურ ადგილს უჩენებ, როგორც სარედაქციო კალათია. მაგრამ წამებაა, როცა ავტორს ლექსი ან ნაწარმოები თვითვე მოაქვს რედაქციაში.

თვალის გადავლებისთანავე ატყობ, რომ მასალა არ გამოდგება. მაგრამ ავტორს პირში რომ უთხრა შენი აზრი, ამას სჯობია თავში კეტი დაჰკრა. ასეთია, საზოგადოთ, ავტორული ცრუ თავმოყვარეობა. და მით უფრო ამიტომ ებნება: „დატოვე, ამხანაგო, გადავიკითხავთ და, თუ გამოგვადგა, გაუშვებთ". ბევრი ამით კმაყოფილდება. მაგრამ შიგა და შიგ ისეთებიც არიან, რომელნიც გვეჩრებიან უთუოდ მისი თანდასწრებით და ისიც ეხლავე წავიკითხოთ. როცა ამაზე უარს ეტყვი დროის უქონლობის მომიზეზებით, ის ზოგჯერ მზათაა თვით გაგიჩინოს სამსახური: აიღებს თვისავე ნაწერს და შეუდგება ხმამაღალ კითხვას. წამებაც მაშინ იწყება...

იყო შემთხვევა, როცა ჩვენს რედაქციაში ერთმა [illegible] მენშევიკმა მოიტანა წერილი ლექსით იმის შესახებ, რომ ის ამიერიდან სტოვებს მშრომელთა მოღალატე მენშევიკურ პარტიას და სხვა. არ ვიცი, როგორ იმოქმედებდა ეს ლექსი მკითხველების გრძნობებზე, ხოლო ჩვენ კი შეგვაძრწოლა ლექსით ხსნებმა.

კიდევ ერთი პატარა მაგალითი [illegible] სოფ. ამაღლებიდან (გუ[illegible] დ. კ—ძე გვწერდა: „გიგზავნით 4 ლექსს დასაბეჭდათ, რომლებიც არც იმდენათ სუსტებია—ჩემის აზრით, როგორც ზოგიერთ უნიჭოებს მოეჩვენება. და ასე, მიეცით ნიჭს გზა ფართო. „ლითონისფრინველების" ავტორი დ. კ—ძე". როგორც „ტარტარონზი" იტყოდა ამ შემთხვევაში, ჩვენ დ. კ—ძეს ნიჭს ფართო გზა მივეცით, მაგრამ სულ სხვა მიმართულებით. ვწუხვართ, რომ ამ ლექსებს მან თავისი „ლითონისფრინველები" არ გამოატანა, რომ ისიც უძირო კალათში დაგვეკრძალებია. გემრიელი ლუკმა იქნებოდა უსათუოდ.

ასეთია მოკლეთ გარედან შემომავალ სახელმძღვანელო და მხატვრულ მასალის ნაკლი. ამიტომ ბუნებრივია, რომ რედაქცია ამ მასალის იმედით ვერ დარჩება. ამხანაგები, რომლებიც კალამი უჭირავთ და ცოდნაც შესწევთ, ხშირათ იმდენათ არიან დატვირთულნი სხვა საქმეებით, რომ წერილისათვის ვერ იცლიან, რაც სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. არც ისინი ზრუნავენ მაინცა და მაინც გაზეთის სახელმძღვანელო წერილებით უზრუნველყოფაზე, რომელნიც უშუალოდ უდგანან სათავეში ამა თუ იმ საქმეს და ჩაბმული არიან ყოველდღიურ აღმშენებლობაში.

ამიტომ პირველი გვერდის სასტატიო მასალა: მთავარი, მეორე და მესამე წერილი—უმთავრესად თვით რედაქციის ძალებით იწერება. ასეთი მდგომარეობა დღევანდელ პირობებში არ შეიძლება ნორმალურათ ჩაითვალოს.

დღეს მთელი ყურადღება ქვეყნის ეკონომიურად აღორძინებისაკენაა მიმართული. ეს მუშაობა უნდა ჰპოულობდეს გაზეთში სრულ გამოხატულებას. აზრის გაცვლა-გამოცვლა, საჭირბოროტო მიმდინარე საკითხების გაშუქება, პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვა და სხვა ასეთები უმთავრესად პრესის საშუალებით უნდა ხდებოდეს.

რედაქციას თავისი ძალებით არ შეუძლია მთელი ამ მუშაობის უნაკლოთ ჩატარება. რაც უნდა მცოდნე არ იყვეს მისი ხელმძღვანელი მუშაკები, მათ იმდენი ძალა მაინც არ შესწევთ, რომ ყველა საკითხების გაშუქება შესძლოთ. აქ საჭიროა არა ზედმიწევნითი ენციკლოპედიური ცოდნა კი. აქ არ კმარა სპეციალურ საკითხების ზოგადი პრინციპების მიხედვით გაშუქება. საჭიროა საკითხის უახლოესი წარსულის, მისი დღევანდელი ვითარების და მომავალი მდგომარეობის ცოდნა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმისათვის, ვინც საქმეს უშუალოთ სათავეში უდგას და ყოველდღიურ მუშაობაში დაკავშირებულია მასთან.

ამიტომ ამხანაგები უნდა სწერდენ თავიანთ დარგის ვითარებაზე. აქ ადგილი არ უნდა დაურჩეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „პუბლიცისტურ მორცხვობას". გაზეთი ყოველთვის დიდი სიხარულით მიიღებს წერილს, რომლის ავტორსაც ეტყობა მის მიერ დასმულ საკითხის ცოდნა და პრაქტიკულ წინადადების უნარი.

მაშინ დაუახლოვდება გაზეთი ცხოვრებას, მაშინ იქნება ის ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრების კოლექტიური ორგანიზატორი. საბჭოთა პრესის დანიშნულებაც ხომ ეს არის.

* *
*

ამ რიგათ განვიხილეთ დაახლოებით ყველა ის მთავარი წყაროები, რომელნიც იძლევიან გაზეთისათვის ყოველდღიურ მასალას. მაგრამ მარტო ხალასი მასალის დაგროვება არ კმარა. საჭიროა ამ მასალის დამუშავება და გაცხრილვა [illegible] რჩევა უმთავრესად ხდება ერთი მთავარი პრინციპის მიხედვით: საზოგადოებრივი ინტერესი, რომელსაც იწვევს ესა თუ ის მასალა და მისი პრაქტიკული მიზანშეწონილობა.

საზომი თითქმის უბრალო და მარტივია, მაგრამ ის განსაკუთრებულ სიფრთხილეს და წინდახედულებას ითხოვს, რომ გაზეთი არ გადიხაროს ერთი მხრივ იაფფასიან სენსაციისაკენ და მეორე მხრივ არც ისე მშრალი და განყენებული გამოვიდეს, რომ მან არ მიიზიდოს მკითხველის ყურადღება. ამიტომ, როცა რედაქცია მასალის გაცხრილვა-გადარჩევას აწარმოებს, ის იმ მთავარ პრინციპზე დაყრდნობით, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ხელმძღვანელობს შემდეგი მოსაზრებით.

ადგილობრივი პირობები—ე. ი. რამდენათ დაკავშირებულია ესა თუ ის კონკრეტი მასალა იმ მხარის სინამდვილესთან, რომელსაც გაზეთი უმთავრესად ემსახურება და რამდენათ აკმაყოფილებს მასალა მკითხველი მასის მოთხოვნილებას (როგორც ვიცით, თვითეულ გაზეთს თავისი მკითხველი ჰყავს).

ამ მუშაობას შეერთებული ძალებით აწარმოებს რედაქციის ყველა ძირითადი მუშაკები. განყოფილებათა გამგეები (მუშათა ცხოვრება, პარტიული ცხოვრება, სოფელი და სხვა). რომელიც მუშაობენ გარკვეული დირექტივების თანახმად, უშუალოთ აწარმოებენ თავის განყოფილებათა მასალების შერჩევა-დამუშავებას და მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში უთანხმებენ წერილს რედაქტორს ან მის თანაშემწეს. მთელი გარეშე, შინაური და ადგილობრივი (საქალაქო) ინფორმაცია გადის სამდივნოს ხელში და [illegible] სამდივნო აგებს პასუხს ამ მასალის შერჩევა-დამზადებაში. მაგრამ, როგორც განყოფილებათა გამგეები, ისე სამდივნო, ყოველგვარ მათთვის საეჭვო მასალას უთანხმებს რედაქტორს. თვითეული რედაქტორი ან მისი მოადგილე ასწორებენ პრინციპიალ ხასიათის მასალას და სწერენ სახელმძღვანელო წერილებს.

* *
*

ამასთან ერთად სარედაქციო მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეგრეთ წოდებულ შეჯიბრების მომენტს, კონკურენციას სხვა გაზეთებთან. თითქოს საბჭოთა წყობილების პირობებში, სადაც პრესა ერთიანი და ერთ მიზანს ემსახურება, კონკურენციას გაზეთებს შორის არ უნდა ჰქონდეს ადგილი, მაგრამ სამწუხაროთ თუ საბედნიეროთ ეს ასეა. ჩვენ, რასაკვირველია, მხედველობაში არა გვაქვს ბურჟუაზიული პრესის კონკურენცია, რომელსაც მიზნად უდევს უმთავრესად მოგების აზარტი და შემოსავლის წყაროების გადიდება.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ხომ ყველაფერი საქონლადაა გადაქცეული და [illegible] ყველაფერი ამ თვალსაზრისით იზომება. გაზეთი იქ კერძო წარმოებაა. ბურჟუაზიულ პრესის ეკონომიურ ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენენ ეგრეთ წოდებული „თავისუფალ პროფესიის" ხალხი: პუბლიცისტები, მწერლები, პოეტები, მხატვრები, ფიზიკური მუშაკები, რომელნიც აწყობენ, ბეჭდავენ და ავრცელებენ გაზეთს. მაგრამ ეკონომიურ ექსპლოატაციის გარდა, ბურჟუაზიული პრესა მკითხველის იდეოლოგიურ ექსპლოატაციის საუკეთესო სანაშენის [illegible]

---

*) [illegible] მაქვს პოლიგრაფიის [illegible] [illegible] სიტყვით მოწყობილი [illegible] რომელშიაც იბეჭდება დღეს [illegible] ქართული გაზეთები. [illegible] ჯერჯერობით, სანამ შეკე[illegible] საგანგებოდ გამოწერი[illegible] [illegible] (როტაცია) [illegible]

0—27 ნ. 97
ნ. 1226 3—2.

Д. 2357

საბჭოთა საქართველო

1 მაისის დღესასწაული

ქუთაისი, 5 მაისი. გაიმართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია მუშათა, საზოგადოებრივ, პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციების მონაწილეობით. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ყველა სკოლების მოწაფეებმა და პიონერებმა. 2 მაისს შეფებმა ინახულეს საშეფო სოფლები. რკინისგზელები გაემგზავრენ ს. სიმონეთში, სადაც მოხდა რკ. გზ. ახალი ბაქანის საზეიმო გახსნა.

სესხი გლეხობას

ქუთაისი, 5 მაისი. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ, საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით, გლეხებს დაურიგა სესხი: მუშა საქონელზე 35.000 მან., მეღვინეობაზე—22,000 მანეთი, არყის დასამზადებლად—8.000 მან., მევენახეობისათვის—6.000 და სხვადასხვა საჭიროებისათვის 9.000 მანეთი.

აგარაკი წყალტუბო

ქუთაისი, 5 მაისი. დაიწყო ავადმყოფების ჩამოსვლა კურორტზე. ბინები დღე და ღამეში ღირს კავშირის წევრებისათვს 75 კაპ., კერძო პირთათვის 1 მან. ტალახის აბანოებით სარგებლობისათვის პროფკავშირის წევრები იხდიან 20 კაპ., კერძო პირები კი 30 კაპ. ქუთაის-წყალტუბოს გზატკეცილის შეკეთება ჯერ ხრ დამთავრებულა. კურორტზე გაიხსნება გაზეთების კიოსკი.

მანქანების მომარაგება გლეხობისათვის

ქუთაისი, 5 მაისი. სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების საშუალებით გლეხობას დაურიგა 25.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები. მანქანები გლეხებს მიეცათ შეღავათიან პირობებში.

ჰიდრო-ელექტრონის სადგური

ონი, 5 მაისი. დაიწყო მუშაობა მდინარე ჯეჯორაზე ჰიდრო-ელექტროსადგურის ასაგებათ. სადგური იქნება 225 ცხენის ძალით. ელექტრო სადგურის ასაგებათ ელექტრო ბანკმა გახსნა კრედიტი 450.000 მანეთის რაოდენობით.

ელექტროსადგურის პროექტი შეადგინა ინჟენერ ფირალოვმა.

1 მაისის დღესასწაული ხონში.

ხონი, 5 მაისი. პირველი მაისის დღესას. დიდი ზეიმით ჩატარდა, სამკითხველო ქოხებში გაიმართა საუბრები 1 მაისის შესახებ. საღამოს გაიმართა უფასო წარმოდგენები გლეხობისათვის.

2 მაისს გაიმართა ფიზკულტურელების გამოსვლა.

3 მაისს სკოლებში—საბავშვო წარმოდგენები და პიონერების გამოსვლა.

სეტყვა

ცხინვალი, 5 მაისი. 4 მაისს საღამოს 5 საათზე ცხინვალში და მის მიდამოებში მოვიდა სეტყვა, რომელმაც დააზიანა ხეხილი. როგორც ირკვევა ზარალი მნიშვნელოვანია.

ეს განა დასაშვებია?

(წერილი ახალციხის მაზრიდან)

სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში მყოფ მუშა-მოსამსახურეთა გამოკეთება დამოკიდებულია არა მარტო ჰაერის, გამოცვლაზე, არამედ კვებასაც აქვს აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა. სურსათ-სანოვაგის მიწოდება კი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კერძო მოიჯარადრეების ხელში იყო. მათ აინტერესებდა უპირველესად საკუთარი ჯიბე და არა ავადმყოფის ჯანმრთელობა. ამიტომ იყო და არის, რომ ხელისუფლება საჭიროდ სცნობს ისეთი ორგანიზაციამ მიაწოდოს კურორტებს სურსათ-სანოვაგე, რომელსაც აინტერესებთ არა მოგება, არამედ მშრომელთა ჯანმრთელობა. ცხადია ეს ორგანიზაცია კოოპერაციაა.

და აი უმთავრეს კურორტებს აბასთუმანს, ბორჯომს და არაზინდოს უკვე მესამე თუ მეოთხე წელია ახალციხის და ბორჯომის კოოპერატივები აწვდის სანოვაგეს.

მაგრამ სავალალო ის არის, რომ სახელმწიფო და საზოგადო ორგანიზაციები ბოროტად იყენებენ კოოპერაციის სამსახურს (კოოპერაციის ვალები წლებით რჩება კურორტებზე).

კოოპერაცია ამ ოპერაციაზე არაფერს იგებს და როდესაც მისგან წაღებულ სანოვაგის ღირებულებას არ უბრუნებს, ეს არის ყოვლად გაუმართლებელი დანაშაული. ეს არის აშკარა დარღვევა პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღებული ხაზისა კოოპერაციის მიმართ.

მაგალითი: 1923-24 საოპერაციო წელში ახალციხის კოოპერაციამ აწვდიდა სურსათ-სანოვაგეს საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველოს აბასთუმანში. სეზონის დახურვის შემდეგ დარჩა ვალი სამმართველოზე 1.300 მანეთი. დანარჩენი კი დიდი დავიდარაბით იქნა მიღებული. უკვე მესამე სეზონი იწყება და დღემდე ეს თანხა არ გაუნაღდებია კოოპერაციას. ამის გამო შარშან ვერ შეუთანხმდა ახალციხის კოოპერაცია საკურორტო სამმართველოს და იჯარით კერძო ვაჭრებს გადაეცა სურსათ-სანოვაგის მიწოდება.

შარშან ახალციხის კოოპერატივი აწვდიდა სურსათ-სანოვაგეს ზაჰქიკას და არაზინდოს სანატორიუმებს. პირველმა სეზონის დახურვის დღესვე პირნათლად გაუსწორა ანგარიში კოოპერაციას, ხოლო მეორემ ვერ შესძლო ეს მთელი წლის განმავლობაში.

დღემდე არაზინდოზე ირიცხება 400 მანეთზე მეტი.

კოოპერაცია იხდის ამ ფულის სარგებელს ბანკში 14 პროცენტის რაოდენობით. ამას მიუმატოთ ის, რომ 1924 წლიდან ამ ვალების ძებნა ამოგებაში—ახალციხე-აბასთუმანი-არაზინდო თბილისში სიარულში საშუალოდ დახარჯული იქნება უკანასკნელი 60 დღე. ინგარიშეთ 5 მანეთი დღიური, გზის ფული, ბინა და სხვა წვრილმანები. საერთოდ კოოპერაციას დაკარგული აქვს ჯერ-ჯერობით 2.500 მანეთზე მეტი.

განა ეს დასაშვებია? ასეთი თანხა სოფლის კოოპერატივს საბრუნავ საშუალებასაც ეყოფოდა.

ეხლა ვკითხოთ, ექნება თუ არა კოოპერაციას ხალისი მომავალ სეზონში დაიკავოს ურთიერთობა ამ დაწესებულებებთან? რასაკვირველია, არა. ეს კი ხელსაყრელი იქნება ისევ კერძო ვაჭრებისათვის და საზარალო მშრომელ მასისთვის.

საქმის მცოდნე.

მუშაობა გამოსწორდა

(ჩიბათის თ., გურია)

ვინც იცნობს ჩიბათის თემის დღევანდელ [illegible] მუშაობას, ის აუცილებლად დაგვეთანხმება, რომ ამ ერთი წლის წინად ჩვენი საბჭო ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე.

საბჭო არსებობდა მხოლოდ ქაღალდზე.

ეხლა სხვა მდგომარეობაა. ჩიბათის თემში დღეს უკვე არსებობს საბჭოს სხვადასხვა სექციები, რომლებიც სოფლის საჭირო-ბოროტო საკითხებს წინასწარ ამუშავებენ და შემდეგ ატარებენ ცხოვრებაში. რაც შეეხება პარტიულ ხელმძღვანელობას ის კარგია, მხოლოდ ნაკლი წარსულში იმაში მდგომარეობდა, რომ შექმნილ ინტრიგას პარტიამ თავის დროზე ვერ მოუღო ბოლო.

თემში დღეს არის შვიდწლედი, კოოპერატივი, ქოხ-სამკითხველო, საფერშლო პუნქტი, აგურხანა და არსებობს აგრეთვე პროფესიული სასწავლებელი.

მიწის მუშა.

წერილებიდან

ცაიშის-კახათი (ზუგდ. მ.)

ჟორდანიამ გაზეთი ჩამოხია. მასწავლებელ თამარა ჟორდანიას ჰაწიკში არ დაუჯდა ადგილობრივი კედლის გაზეთი, მიუვარდა და ჩამოხია. მან ესეც არ იკმარა. დადის გლეხებში და ეწევა აგიტაციას კედლის გაზეთის წინააღმდეგ. განათლების ინსპექციამ უნდა მიაქციოს მასწავლებლის ამგვარ თავხედურ ქცევას ყურადღება.

ვავა.

საგარეჯო, (გარე-კახ.)

ყურს არ იბერტყავენ. ადგილობრივ გამგის კედლის გაზეთი, რომელმაც გლეხკაცობაში საკმაო ნდობა დაიმსახურა. გაზეთი ხშირად აღნიშნავს თემის ამა თუ იმ ნაკლულევანებებს, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფალნი ყურსაც არ იბერტყავს მათ გამოსასწორებლად. მეტი ყურადღება კედლის გაზეთს.

საყვირი.

ქებამ აწყინა (ს. კორინთლო)

თებერვალში „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს ფურცლებზე ქება დიდება შეასხეს ჩვენ ახალ მასწავლებელ გოგიბედაშვილისას, რომელიც ისე გათამამდა, რომ ოთხი დღეა მიატოვა სკოლა, წავიდა თბილისში და არსად სჩანს.

დათიკო კორინთელი.

ს. ბულვანი (ქოლობნის თემი, ხან მ.)

ტოპოყო უნდა ამოვაშროთ. ბულვანის სამხრეთ-დასავლეთით აკრავს ჭაობიანი ტბა „ტოპოყო“, რომელიც ციებ-ცხელების ბუდეს წარმოადგენს. ამის გამო ს. ბულვანის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა დაავადმყოფებულია. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საბჭო და აღმასკომი თავის მომავალ მუშაობაში უმთავრეს ყურადღებას მიაქცევენ ამ ტბის ამოშრობის საკითხს.

ბულვანკარელი.

მუშათა ცხოვრება

ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის.

ხუთი მაისი—მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღეა. ხუთი მაისი პირველად რუსეთის მუშებმა იდღესასწაულეს 1912 წელს, რომლითაც აღნიშნეს მუშათა გაზეთ „პრავდა“-ს არსებობის ორი წლის. თავი. მეტია იმაზე ლაპარკი, თუ პრესას რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ კლასის ბატონობის განმტკიცებაში...

ვის ხელშია დღეს ეს ბრძოლის იარაღი, პრესა, ბურჟუაზიულ ქვეყნებში? რა თქმა უნდა, ბურჟუაზიის ხელშია. მას ძალიან ესაჭიროება პრესა თავისი მტაცებლური მიზნების მისაღწევად და ამისათვის იგი თავგამოდებით იცავს მას.

საბჭოთა ქვეყნების მუშათა კლასმა დიად ოქტომბრის რევოლიუციით სხვა მონაპოვართან ერთად, პრესაც დაიპყრო, რომელიც ემსახურება საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეს.

არის თუ არა ჩვენში პრესის თავისუფლება დღეს? ამ კითხვაზე შეიძლება ასე ვუპასუხოთ: არის და არც არის. იგი თავისუფალია მშრომელი ხალხისათვის, არ არის პრესა თავისუფალი ყველა იმათთვის, ვისაც ეს თავისუფლება სურს გამოიყენოს მუშათა კლასის და მისი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. ამიტომ იმ ხალხს, რომელიც დღეს გამოსთქვამს სურვილს პრესის საყოველთაო თავისუფლების შესახებ, ალაპარაკებს სულ სხვა ქვენა გრძნობები. მათ ავიწყდებათ რომ ჩვენ, მუშებს, ერთი უბრალო პროკლამაციის გავრცელების გულისათვის ციხეებში გვამწყვდევდენ და ციმბირში გვასახლებდენ. პრესის თავისუფლება ჩვენ ხელიდან გამოვგლიჯეთ ბურჟუაზიას ბრძოლით სხვა უფლებებთან ერთად და მას ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუთმობთ ჩვენ მტრებს.

როგორ შეუწყო ხელი საბჭოთა პრესამ მუშათა მწერლობას? საბჭოთა პრესამ ისეთი ფართო ასპარეზი დაუთმო მუშათა მწერლობის განვითარებას, რომელიც არც ერთ ხელისუფლებას აზრადაც არ მოსვლია. საბჭოთა ხელისუფლებამ სრული გასაქანი მისცა მუშათა ნიჭს. მუშები მწერლობის ასპარეზზე გამოდიან მუშკორების, მუშა-ბელეტრისტების, მუშა-მგოსნების სახით. მათ საკმაო ადგილი ეთმობათ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში.

ჩვენ რედაქციებში დღეს შეხვდებით ისეთ მუშებს, რომლებსაც სამი-ოთხი წლის წინეთ უბრალო შენიშვნების წერაც კი უძნელდებოდათ, დღეს კი ეს მუშებიც ისე გავარჯიშდენ წერაში, რომ სწერენ არამც თუ შენიშვნებს, არამედ მოთხრობებს, ლექსებს, პუბლიცისტურ და კრიტიკულ წერილებსაც კი.

ეს ყველაფერი არის ნაყოფი ოქტომბრის რევოლიუციისა.

გაუმარჯოს დიდ ოქტომბერს!

გაუმარჯოს მსოფლიო და საბჭოთა ქვეყნების მუშათა პრესას!

მუშა **ნიკო მკერვალი.**

ჩვენი კალმის დღესასწაული.

რისთვის ვზეიმობთ ჩვენ 5 მაისს?

5 მაისს ჩვენ, პროლეტარები, ვზეიმობთ იმიტომ, რომ იგი მოგვევლინა სიმართლის ბეჭდვის დღედ პირველად 1912 წ. 5 მაისს, სწორედ იმ დროს, როცა შავი იმპერიალისტური რეაქცია უმოწყალოდ ელეტდა მუშა-გლეხებს და პეტროგრადის ქუჩებს რწყავდა მშრომელი ხალხის უმანკო სისხლით, სწორედ ამ დროს მოთმინებიდან გამოსულმა სიმართლის მაძიებელმა პროლეტარიატმა გამოუცხადა ომი ბურჟუაზიას არა თოფ-ზარბაზნით, არამედ ბეჭდვითი სიტყვით—პროლეტარულ ორგანოს გაზეთ „პრავდა“-ს რამოდენიმე ათასი ცალის გამოშვებით.

1912 წ. 5 მაისიდან იწყება მუშათა ბასრი მწერლობის დღე მუქთა-ხორა ბურჟუების და ჯალათების დასამხობად, ვიდრე მიაღწევდა დიად ოქტომბრის 1917 წ. რევოლიუციას.

1917 წ. რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა შავი რეაქციის ძალები და გაანთავისუფლა ყველა პატიოსანი მშრომელი აუტანელი რკინის ბორკილებისაგან.

ოქტომბრის რევოლიუციამ შობა ფხიზელი, შეუსყიდავი და ერთგული მუშათა კლასის დარაჯები, რომლებიც მედგრად იცავენ მუშურ-გლეხურ წესწყობილებას. აღნიშნულ დარაჯების რიგებს ეკუთვნიან ჩვენი გლეხკორები და მუშკორები, რომლებიც ათასობით და ათიათასობით დარაჯობენ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვრებს. თუმცა ოქტომბრის რევოლიუციამ ჩააქრო შავი ძალების ყოველივე ბოროტი ზრახვები, მაგრამ აქა-იქ კიდევ დარჩენ „ბოროტი სულები“, რომლებიც ხელს გვიშლიან ნებსით თუ უნებლიეთ საბჭოთა აღმშენებლობაში. ჩვენი მუშკორები და გლეხკორები პრესის საშუალებით ებრძვიან ამ ბოროტმოქმედებს და დაუზოგავად ამჟღავნებენ მუშათა კლასის მტრებს, რომლებიც ძირს უთხრიან მუშურ-გლეხურ წესწყობილებას.

დიახ, ჩვენ დღეს ვზეიმობთ 5 მაისს იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირში ბეჭდვითი სიტყვა ემსახურება მხოლოდ მუშათა და გლეხების ინტერესებს.

გაუმარჯოს 5 მაისს!

მუშკორი ლევან გუნია.

მუშათა პრესის დღე.

დადგა ოქტომბრის დიადი დღეები და ძირფესვიანად შეიცვალა მუშათა პრესის მდგომარეობა: **მუშათა პრესამ მოიპოვა სრული თავისუფლება.**

არის თუ არა ჩვენი პრესა თავისუფალი?

დიაღ, იგი თავისუფალია მშრომელი ხალხისათვის, ხოლო ვისაც სურს მუშათა პრესის თავისუფლება გამოიყენოს მუშათა კლასის და მის ხელისუფლების საწინააღმდეგო და ქვენა აზრებით, მისთვის არასოდეს არ იქნება მუშური პრესა თავისუფალი. დღეს ჩვენი პრესა ემსახურება მშრომელი ხალხის კულტურულ გათვითცნობიერების საქმეს, ებრძვის ხალხში დარჩენილ დრომოჭმულ ზნე-ჩვეულებებს და ცრუმორწმუნეობას და თავის მთავარ მიზნად ისახავს მშრომელი მასის ახალ ყოფა-ცხოვრების წესებისადმი შეჩვევა-შეგუებას; დაინტერესებულია პოლიტიკურ საკითხების და საზოგადოებრივ მოვლენების კლასობრივი თვალსაზრისით გაშუქებით.

ამას გარდა, ჩვენი პრესის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება: დაულალავი ბრძოლა აწარმოოს ჩვენს სახელმწიფო-სამეურნეო დაწესებულებებში ყოველგვარ ბოროტმოქმედების—ფლანგვის, უყაირათობის, საზარალო ხელგაშლილობის, გულგრილობის და სიმულიაციის წინააღმდეგ. ამისათვის არსებობს კიდეც უამრავი და შეუპოვარი არმია მუშა-კორესპონდენტებისა, რომლებიც სასტიკათ ებრძვიან ძველი ყოფა-ცხოვრების მავნე და მახინჯ [illegible], აშკარავებენ ყოველგვარ ბოროტმოქმედებას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არიან ისინი და ან როგორი შეცდომა თუ ბოროტება ჩაუდენიათ მათ.

მუშათა პრესა მიუდგომელია. ის ობიექტიური თვალსაზრისით ხაზღვრავს ყოველგვარ საჭირბოროტო კითხვებს და სასტიკად ებრძვის წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიის ნაშთებსაც.

მუშათა პრესა—ერთგვარი ყუმბარაა, რომელიც ტყვიის პაწია ასოებს უშენს თვალებში ყველა ჯურის ბოროტმოქმედთა და გაუსწორებელ ელემენტებს.

ყველა ისინი, ვინც ვერ შეგუებია მუშათა პრესას. ვერ შეუგნია ჩვენი პრესის დანიშნულება, ის შეგნებული მტერია მუშურ სამეფოს, საბჭოთა ხელისუფლების და ყველა ის, ვისაც უნარი აქვს და ვისაც კალამი ემარჯვება, დაუზოგავი ბრძოლა უნდა აწარმოოს ყველა ასეთ გაუსწორებელ ელემენტების წინააღმდეგ.

მუშური პრესის საბოლოო გამარჯვება-განმტკიცება მჭიდროთაა დაკავშირებული საბჭოთა სისტემის ინტერესებთან, ამიტომ ხელისუფლება არ იშურებს არავითარ ღონისძიებას მის გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს ჩვენ პრესის დღეს!

გაუმარჯოს მუშურ პრესის დაულალავ მუშაკებს!

გ. ჩხიკვაძე.

გაერთიანება აქაც უნდა ჩატარდეს

მთავარ სახელოსნოების სამღებროს სამქროს (რომელიც აერთიანებს 110 მუშა-ხელოსანს) კანტორაში არც ერთი ქართველი თანამშრომელი არ მოიპოვება, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს მუშა-ხელოსნებში. იქ დაწყებული გამგიდან დაბალ მოსამსახურემდის დამთარებლის გამოკლებით არავის ესმის ქართული ენა და რაც შეეხება ქართულად საქმის წარმოებას ამაზე ზედმეტია ლაპარაკი. საზოგადოდ აქ ანტი-ქართული ჯგუფი თარეშობს და თუმც იქ ვინმე ქართველი გაგზავნონ, მაინც ის მარტო ვერაფერს გახდება.

აქ საჭიროა ისეთი თანამშრომელი, რომელიც ხელს შეუწყობს გაეროვნების გატარებას. უნდა ითქვას, რომ ამ ჟამად მთავ. სახელოსნოებში თითქმის გაეროვნების საქმე შეფერხდა. შარშან ამხ. იროდ. ბოლქვაძემ ამ საქმეში დიდი ინიციატივა გამოიჩინა. მან შესძლო სახელოსნოების მთავარ დარგში შტატის გადახალისება. მისი მიზანი იყო, სამქროებშიც გაეტარებინა გაეროვნება მთლიანად. ეხლა ჯერი ამხ. კ. მაჭარაძეზე არის. მან უნდა მიჰბაძოს ამხ. ბოლქვაძეს და მთელი ენერგიით შეეცადოს სამქროების გაეროვნებას. ვიმეორებ, რომ გაეროვნება სახელოსნოებში ძალიან ძნელი ნაბიჯით მიცოცავს. იმედი გვაქვს, რომ მოქ. მაისუროვი და მოქ. მაჭარაძე გაატარებენ ცხოვრებაში ამ დიდ საქმეს. ამას მოითხოვს ჩვენი მუშების ინტერესი.

მუშკორი **რიხტივ.**

ქრონიკა

ეკონომიის რეჟიმის კამპანია

საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში შესდგა პასუხისმგებელ მუშაკების, ტრესტების გამგეების და სხვ. თათბირი, რომელმაც განიხილა ღონისძიებები ეკონომიის რეჟიმის გასატარებლად. მოხსენება გააკეთა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ ეჟიკაშვილმა, რომელმაც აღნიშნა დეფექტები მუშაობაში. არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ შეადგინოს მუშაობის გეგმა და წარმოუდგინოს ის დასამტკიცებლად სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს.

რესპუბლიკანური ბიუჯეტი

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ ფინანსთა სახ. კომისარიატებს დაუყოვნებლივ შეუდგენ რესპუბლიკანურ ბიუჯეტების შედგენას მომავალ სამეურნეო წლისათვის. მთელი მუშაობა რესპუბლიკანურ ბიუჯეტების და გაერთიანებულ და საერთო ფედერატიულ უწყებათა ხარჯთაღრიცხვების შესადგენათ უნდა დამთავრდეს და წარედგინოს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატს 20 ივნისისათვის.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

მუშაობა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონების ასაგებად უკვე დამთავრდა. დღეიდან—6 მაისიდან იწყება პავილიონების მოწყობა ექსპონატების დალაგება.

დაიწყო და ამ ორ დღეში დამთავრდება ბათომიდან მიღებულ ეგზოტიურ მცენარეების დარგვა. თითქმის უკვე დამთავრებულია ელექტროსადგურის მოწყობა.

დამთავრდა აგრეთვე ბოძების დადგმა და მავთულის გაყვანა.

გამოფენისა და ქალაქს შუა მიმოსვლისათვის გაყვანილია ტრამვაის ორი ხაზი. გარდა ტრამვაის ვაგონებისა, გამოფენის ადგილსა და ქალაქს შუა მიმოსვლისათვის ეწყობა ავტომობილების რეგულარული მოძრაობა.

ყოველ დღე გამოფენა გაიხსნება დილის 7 საათზე და გაგრძელდება შუა ღამემდე.

საღამოობით გამოფენის ადგილზე საგანგებოდ მოწყობილ ფარდულში გაიმართება სალამო-კონცერტები. თითქმის ყოველ დღე საღამოობით გაიმართება სიმფონიური კონცერტი სახელმწიფო ოპერის ორკესტრის, რომელსაც დირიჟორობას გაუწევს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ივანე ფალიაშვილი.

საგამოფენო კომიტეტის მიერ გამოფენის ნახვისათვის სასყიდლად დაწესებულია დღით—პროფკავშირთა წევრებისათვის—20 კაპიკი, არა წევრებისათვის—30 კაპ. საღამოთი პროფკავშირის წევრებისათვის—30 კაპიკი, არა წევრებისათვის—50 კაპიკი.

საექსკურსიო ბაზები

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აწყობს საექსკურსიო ბაზებს, რომელთა დანიშნულება იქნება ბინის, საჭმელის და ცნობების მიწოდება ექსკურსანტებისათვის.

ასეთი ბაზები მოწყობილი იქნება ბათომში 100 კაცისათვის; ბორჯომში 100 კაცისათვის; ყაზბეგში (საქართველოს სამხედრო გზაზე) 50 კაცისათვის; ჭიათურაში 50 კაცისათვის.

მიღებულია ზომები, რომ საჩქაროდ იქნეს გამონახული საჭირო თანხები ბაზების მოსაწყობად და საჭირო მოწყობილობის შესაძენად.

მრეწველობა

საქართველოს მთავარ მრეწველობების (მარგანეცის, თამბაქო, ტყავი, საპონი) ნაწარმოებებთა ღირებულება მარტში უდრის 1,5 მილიონ მანეთს. ამ წარმოებებში მუშაობს 6154 მუშა-ხელი.

თამბაქოს თესვის კამპანია

საგეგმო კომისიის დადგენილებით მთელ საქართველოში უნდა დაითესოს 2.500 დესეტინა მიწა, რომლისთვისაც გლეხობას უნდა დაურიგდეს ავანსები თამბაქოს დასათესად. დანარჩენს კი დათესავენ გლეხები დამოუკიდებლად. თესვისთვის საჭირო წინასწარი ხარჯების დასაფარავად თამბაქოს მეურნეებს მიეცემათ თვითეულ დესეტინაზე 350 მანეთი ავანსათ იმ პირობით, რომ მიღებული მოსავალი თამბაქოს მეურნეებმა უნდა ჩააბარონ თამბაქოს ტრესტს მაზანდაზე. თავის მხრივ თამბაქოს ტრესტი აუცილებელ ავანსებზე სარგებელს არ გადაახდევინებს თამბაქოს მეურნეებს.

ტუბერკულიოზის დისპანსერის გახსნა

დღეს 6 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე მოხდება ა.-კ. რკინისგზის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტუბერკულოზის დისპანსერის საზეიმო გახსნა და დღის და ღამის სანატორიუმის საძირკვლის ჩაყრა.

დისპანსერი მოთავსებულია პლეხანოვის გამზირზე № 154.

თბ. აღმასკომში

◆ **შრომის სკოლების შეკეთება.** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში თბ. აღმასკომმა შეაკეთა 36 შრომის სკოლის შენობა.

◆ **მუშტაიდის შესახვევის** გასადიდებლად აღმასკომმა გადასდო 8 ათასი მანეთი.

◆ **წყალსადენი.** აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება წელს შეუდგება თბილისის მაზრის 35 სოფელში წყალსადენის მოწყობას.

◆ **წ.-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები** თბილისის მაზრაში წელს დაამთავრა 5,300 კაცმა.

◆ **თბ. მაზრის აგარაკებზე** აღმასკომის დადგენილებით წელს დატოვებულია შარშანდელი საბინაო ნიხრი.

მიწათმოქ. კომისარიატში

◆ **ტაბახმელის საშრატე სადგურის** საჭიროებისათვის კომისარიატი დამატებით იძენს რამოდენიმე სულს სასისხლე საქონელს.

◆ **გამოკვლევა.** მიწად.-მოქ. კომისარიატმა სიღნაღის და თელავის მაზრებში მიავლინა თავისი წარმომადგენელი თავის ქვემდებარე უწყებების გამოსაკვლევად.

◆ [illegible] კომისარიატთან დაარსდა კოოპერატიული ქვე-განყოფილება, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს [illegible] არტელების და კომუნების და მათ დაარსების საქმეს.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **საზაფხულო ტანისამოსი.** თბ. ბაზარზე ამჟამად დიდი ნაკლებობაა საზაფხულო შეკერილ ტანისამოსის. ამ დღეებში მოსკოვიდან მოელიან შეკერილ ტანისამოსის დიდ პარტიას.

◆ **შაქარი.** მუშკოოპმა მიიღო დიდძალი შაქრის ფხვნილი.

◆ **ცემენტის ნაკლებობა.** საამშენებლო სეზონის დადგომის გამო თბილისის ბაზარზე ცემენტის საგრძნობი ნაკლებობაა.

◆ **ფართლეულობა.** მუშკოოპი ამ დღეებში მიიღებს დიდძალ ფართლეულობას.

◆ **სახელმწიფო ვაჭრობის ა.-კ. სამმართველომ** ავსტრიაში გასასაღებლად გაგზავნა 28.000 ნიგვზის ფირ-ფიცარი.

შემთხვევები

◆ **სახლის პატრონის მსხვერპლი.** 1 მაისს დღის 3 საათზე კირკის ქ. № 57 მცხოვრებ მოქ. სოფიო შეტიაშვილს უნდოდა თოკით ჩამოეხრჩო თავი, მაგრამ გადარჩენილი იქნა მეზობლების მიერ. სასიკვდილოთ დაშავებული გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში. მიზეზი არის სახლის პატრონის მიერ შეტიაშვილის ბინიდან გამოსახლება ქირის გადაუხდელობის გამო.

◆ **შეპყრობა.** 4 მაისს შეიპყრეს ორი ბოროტმოქმედი ბარიამ ჯაფარ-ოღლი და გაბრიელ ბეწუშვილი.

◆ **ქურდობა.** 1 მაისს ლენინის ქ. 325 გაქურდეს სერგო ლეთოდიანის აზიური ფეხსაცმელების სახელოსნო.

◆ 3 მაისს გაქურდეს ფიზკულტურის საბჭოს (რუსთ. გამზირი № 5) მაღაზია.

◆ ამავე დღეს დესიმონოვის მოედანი № 5 გაქურდეს ედიშე კურდღელაიანის სავაჭრო.

4 მაისს ელისაბედის ქ. № 148 გაქურდეს კალისტრატე ლასხიშვილის ბინა. წაღებულ ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია.

წითელ ჯარში

უპარტიო წითელარმიელთა კონფერენცია

გუშინ საღამოს 5 საათზე ქართულ დივიზიის ცენტრალურ კლუბში გაიხსნა 1-ლ დივიზიის უპარტიო წითელ არმიელთა კონფერენცია.

კონფერენციაზე დასასწრებლად ჩამოსულია 200 წითელ არმიელი და მეთაური.

კონფერენციის მიზანია აღნუსხოს განვლილ (საზამთრო) პერიოდის მუშაობის მიღწევები და ნაკლულოვანებები და აგრეთვე გამოიმუშაოს საზაფხულო პერიოდის მუშაობის გეგმა.

ე. ხუციშვილი.

არტილერისტთა შორის

(№ ქართ. საარტილ. ლეგიონი)

ძველი ყაზარმები ეხლა შეკეთებულია და შეღებილია სასიამოვნო, მოწითალო ფერით. მოზრდილი ეზო სუფთად არის დაგვილი; ყველაფერს ეტყობა მზრუნველი ხელი.

შედიხარ ყაზარმაში. პირველ ყურადღებას იქცევს დიდი პლაკატი წარწერით: „ცოდნა ტყვიაზე მჭრელია“. აი თვით ყაზარმა: სუფთა საწოლები, კედლებზე წითელ არმიის ბელადების სურათები, მრავალი პლაკატი და ლოზუნგი.

რა არის ყველაზე ძვირფასი წითელ არმიელისათვის ყაზარმაში? ეს—ლენინის კუთხეა. აქ ატარებს იგი თავისუფალ დროს, აქ იძენს ცოდნას. ამიტომაც არის, რომ ყოველი წითელი არმიელი მზრუნველობით ეკიდება ლენინის კუთხეს, სცდილობს გაალამაზოს, გაამშვენიეროს თავისი—ლამაზი კუთხე. საერთო განათლება, სანიტარია, სამხედრო საქმე, კედლის გაზეთი, სცენობ მაგიდა—ყველა თავის რიგზეა.

მარჯვედ არიან არტილერისტები. შეცადინეობენ გულმოდგინეთ, უყვართ თავისი საქმე: უვლიან ქვემეხებს.

აბა ნახეთ მათი ცხენები, რა ლამაზად და ამაყათ გამოიყურებიან.

— წერა-კითხვის უცოდინარნი ბევრი გყავთ ლეგიონში? ეკითხები სამხედრო კომისარს.

— არც ერთი კაცი, იყვნენ, როდესაც მივიღეთ ახალი წვეულები ეხლა კი ყველამ იცის წიგნის კითხვა და წერაც შეუძლიათ.

კულტურულ ფრონტზედაც გამარჯვებულნი არიან არტილერისტები. სამგალითო კავშირი აქვთ თბილისის მუშებთან. ხშირ-ხშირად დაირბიან სტუმრად ტყავ-ტრესტის ქარხნის მუშებთან; თითქმის ყოველ კვირას მართავენ წარმოდგენა-გასამართლებას მუშებთან ერთად. მუშებიც დიდის ხალისით დადიან არმიელებთან ყაზარმაში.

არც გასამხედროების საქმეში არის ჩამორჩენილი არტილერია; მათ მიერ მოწყობილ სამხედრო კუთხეები ამშვენებენ რკინის გზელთა კლუბს, ლითონ-ტრესტის ქარხანას, არსენალს. სოფელ ასურეთში მოაწყვეს სამხედრო კუთხე და შეძლებისდაგვარათ ეხმარებიან მას.

—ზ.

საწოლების განაწილება დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში საწოლები შემდეგნაირად განაწილდება.

	დასას. სახ.	სანატორიუმ.
1. აჭარისტანს	324 საწ.	65 საწ.
2. აფხაზეთს	245 „	25 „
3. სამხ. ოსეთს	30 „	7 „
4. ფოთს	100 „	25 „
5. ქუთ. მაზ.	150 „	50 „
6. ტყიბულს	30 „	8 „
7. შორაპ მ.(ჭიათ.)	125 „	40 „
8. სენაკ. მაზ.	55 „	20 „
9. ზუგდიდის	30 „	10 „
10. ოზურგეთის	40 „	14 „
11. გორის მ.	45 „	15 „
12. ბორჯომს	40 „	10 „
13. ახალქალაქს	10 „	2 „
14. ბორჩალოს	30 „	10 „
15. სიღნაღის	47 „	12 „
16. თელავის	40 „	10 „
17. დუშეთის	15 „	5 „
18. ახალციხის	20 „	5 „

კავშირების ცენტრ. გამგეობებს შორის: (თბილისის მაზრისათვის)

1. მიწა-ტყის კავშირს	45 ადგ.
2. სამთომადნო	10 „
3. მელითონეთა	200 „
4. ქიმიკოსთა	50 „
5. სურსათ-გემოვნების	200 „
6. ხის დამმუშავებელთა	30 „
7. აღმშენებელთა	75 „
8. ფეიქართა	40 „
9. მკერავთა	40 „
10. მეტყავეთა	80 „
11. ტრანსპორტ. მომუშ.	75 „
12. სახ. შეერთების	80 „
13. კომუნალურ-მეურ.	200 „
14. სახალხო კვების	40 „
15. მედსანშრომის	100 „
16. საბჭ. და სავაჭრო	250 „
17. განათლების მუშაკ.	300 „
18. ხელოვნების	40
ს უ ლ	2045 (60,1%).

ამნაირად დასასვენებელ სახლებში დამზღვევ ორგანოების ხარჯზე პროფესიონალურ კავშირებს დაეთმოთ სულ—3.421 საწოლი. აქედან—მაზრებს დაეთმო—1376 (39,9%), ხოლო თბილისის მაზრას—2.045 (60,1%).

თბილისის ფარგლებში კავშირებს სანატორიუმებში ადგილები ცალ-ცალკე არ დაეთმოთ. სანატორიუმში გასაგზავნი ავადმყოფები უნდა გატარდენ გადამრჩევ კომისიაში და ისე უნდა გაიგზავნონ.

პრეზიდიუმმა თბილისის ფარგლებში კავშირებს სანატორიუმებში ადგილები არ დაუნაწილა იმიტომ, რომ შესაძლებელია ერთ კავშირში ავადმყოფი არ იქნეს, ხოლო მეორეში კი იქნეს საგრძნობი რაოდენობა.

ხელფასის დავალიანების ლიკვიდაცია

უკანასკნელ ხანებში საქართველოს პროფსაბჭოში ადგილებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი მუშაკები დაგვიანებით ღებულობენ შრომის ხელფასს. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ადგილობრივ ხელფასისათვის გათვალისწინებული ფონდი იხარჯება არადანიშნულებისამებრ; გარდა ამისა ზოგიერთ ადგილობრივ დაწესებულებებში მოსამსახურეთა რიცხვი აღემატება ბიუჯეტით გათვალისწინებულ შტატებს. ხელფასის დაგვიანებას იწვევს აგრეთვე ის გარემოება, რომ ადგილები თავის დროზე ვერ ღებულობენ ბიუჯეტით გათვალისწინებულ დოტაციას.

თუ რამდენათ მწვავეთ სდგას ადგილებზე შრომის ხელფასის საკითხი, სჩანს ქიდან, რომ საქართველოს ფინსახკომის ცნობებით, ამ დარგში დავალიანების დასაფარავათ საჭიროა 302.000 მანეთი. ყველაზე მეტი დავალიანება მოდის ავტონომიურ რესპუბლიკებზე; ასე, მაგალითად: აფხაზეთისათვის საჭიროა 34.000 მანეთი, აჭარისტანისათვის—30.000 მანეთი, სამხრეთ-ოსეთისათვის—28.000 მანეთი. ცალ-ცალკე მაზრებშიაც დავალიანება საკმაოდ დიდია. მაგალითად: ახალ-ქალაქი—14.000 მანეთი, ახალ-ციხე—5.000 მანეთი, ბორჩალო—12.000 მანეთი, გორი—13.000 მანეთი, დუშეთი—24.971 მანეთი, თელავი—16.700, სიღნაღი—27.40 ქუთაისი—15.200, ლეჩხუმი—1 რაჭა—10.000, ოზურგეთი—1 ზუგდიდი—22.500, სენაკი—1 ზემო-სვანეთი—8.000.

ამ ჟამად საქართველოს ფი[illegible] იღებს სასწრაფო ზომებს [illegible] ნების დასაფარავათ; ამ მიზ[illegible] ლებული იქნებ[illegible] ტაციის სა[illegible]. ამასთანავე [illegible] ლიერებული ი[illegible] ზე, რომ შრომის [illegible] იხარჯებოდეს დანიშნულების [illegible]

ხელოვნება

მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის გა[illegible]

3 მაისს მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრმა დადგა მეორე წარმოდგენა—„ერიკ მეთოთხმეტე“.

ხელოვნების სამფლობელოში ისეთი გარდაქმნანი და წარმატებანი ხდება, რომ 15—20 წლის წინად არსებულ წერტილზე დგომა—ეს გაყინვასა და ჩამორჩენის ნიშნავს ამ ცვლილების და გზნების ეპოქაში.

თუ სადაოთ დარჩება მეთოდი და გაგება მხატვრული განსახიერებისა, სამაგიეროდ მასალის არჩევანში მაინც გარკვევით შეიძლება სიტყვის თქმა.

რითი შეიძლება გამართლდეს „ერიკ მეთოთხმეტის“ დადგმა 1926 წელში?—სოციოლოგიურ-პოლიტიკურათ—არარაა. ფსიქოლოგიურად—[illegible]. ინტრიგით—[illegible]. მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებაში შეიძლება ხანდახან იყოს რაიმე შინაგანი ანდამატური მძლეობა, რომელიც ძალაუნებურად იზიდავს მსმენელსა და მაყურებელს. „ერიკ მეთოთხმეტეს“ არც ეს აბადია. მაშ რითი შეიძლება გამართლდეს მისი არჩევანი? მხოლოდ იმითი, რომ სამხატვრო თეატრში მტკიცედ დასადგურებულია ძველი ფსიქოლოგია.

ამ სახელ-მოხვეჭილ აკადემიურ თეატრს აუცილებლად მოეთხოვება უეჭველად [illegible] სულიერი თანამედროვეობა თვით რეპერტუარში. თუ არ იქნა შერჩეული რეპერტუარი—ეს იქნება დარღვევა თეატრალური მთლიანობისა.

შესაფასებლად რჩება მხოლოდ [illegible] და შესრულება.

როგორც ვიცით, სამხატვრო თ[illegible] როგორც პირველი, ისე მისი მ[illegible] მეორე—ძველი აკადემიური თე[illegible] კეთის ნიმუშს წარმოადგენ[illegible] საკმაოდ არის გამოყენებული [illegible] 1921 ტრუქტული ელემენტ[illegible] პარასკევა ტურად სარგებლობენ [illegible] განაგდება. შესრულება კლასიკურ[illegible] მაგალით მუშავებული, თუმცა არ[illegible] მოძრაობა გზნება და მაყურებელი [illegible] არის აზრი ნამუშევარი, [illegible] მაგრამ არა სჩანს სტი[illegible] გადავარდნა. მაგრამ [illegible] ლი თვისება სამხატ[illegible]

ამ აკადემიურად აწონილ[illegible] სრულებელთაგან აუცილებლად [illegible] უერთდება იქცევს დასხმ[illegible] ხობი მ. ჩეხოვი—ერიკის რო[illegible] ბა არ დაეეთანხმოთ როლის [illegible] კი გამოხატავს ნამეტანი უბადრ[illegible] და სნეულათ. მაგრამ რაკი და[illegible] სი მხატვრული დიგანობ[illegible] ლის ხელოვნებით და არ[illegible] წლობით ანსახიერებს ამ [illegible]

აგრეთვე განმარტოებით [illegible] პროკურატორის როლში—[illegible] სხვა დანარჩენი უმნიშვნელო [illegible] ტონს და ანსამბლს სამხატვრო თეატ[illegible]

ხელოვნების ქრონიკა

◆ **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ყრილობა, რომელიც უნდა გახსნილიყო გუშინ, 5 მაისს, გაიხსნება დღეს, 6 მაისს საღამოს 6 საათზე ხელოვნების სასახლეში.

◆ **წითელ თეატრში** ხუთშაბათს, 6 მაისს წარმოდგენილი იქნება „რაც გინახავს ველარ ნახავ. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

◆ **ოპერის თეატრში** დღეს მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრი დგამს „მფლანგველს“.

◆ „მეცხრე ტა[illegible]“ ამთავრა კინო-სურ[illegible] გადაღება.

◆ **მოსკოვის ქართული დრამატ[illegible]** სტუდია დასადგმელათ ამზადებს ჯაყო[illegible]ზნებს და ქართულ პანტომიმას—„ა[illegible] დელს“.

◆ **სახელმწიფო კონსერვატორიაში** [illegible] ბათს, 8 მაისს პროფ. ზულოონი მ[illegible] კონცერტს თავისი კლასის [illegible] სასარგებლოდ.

ამიტომ ბუნებრივია, რომ, როგორც წარმოების ყოველ დარგში, ისე ბეჭდვითი სიტყვის დარგშიაც კაპიტალისტურ ქვეყნებში წრეს გადასული კონკურენცია სწარმოებს. მაგალითისათვის საკმარისია შევჩერდეთ ძველი რუსეთის გაზეთების ერთ შემთხვევაზე.

ცნობილი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი გარდაცვალების წინ ლოგინათ ჩაწვა და კარგა ხნით იავადმყოფა. ექიმების აზრით, მწერალის მორჩენა მეტად საეჭვო იყო. მოსკოვის გაზეთებიც გაფაციცებით შეუდგენ მოსალოდნელ უბედურების მომზადებულათ შეხვედრას. თითქმის ყველა მნიშვნელოვანმა რედაქციებმა წინდაწინ ააწყვეს სამგლოვიარო ნომრები. გაზეთები ჩაჯენილი იყო შავ არშიებში, აწყობილი იყო სარედაქციო წერილები, ნეკროლოგები. ტოლსტოის ბიოგრაფია, მისი სხვადასხვა დროის სურათები, რჩეული ციტატები გარდაცვლილ მწერალის ნაწერებიდან, სამგლოვიარო ლექსები და სხვა. გაზეთებს აკლდა, მხოლოდ რიცხვი, როცა სამგლოვიარო ნომერში უნდა მოეყვანათ რამდენადმე მაინც დაწვრილებით ცნობა ავადმყოფის უკანასკნელ წუთების შესახებ.

ტოლსტოი იწვა რკინის გზის ერთ-ერთ პატარა სადგურზე, სადგურის მორიგეს ბინაზე. ექიმებზე მეტად პრესის წარმომადგენლებმა მოიყარეს ამ პატარა სადგურზე თავი. მოსკოვის გაზეთებს ყოველდღე მოსდიოდათ ცნობა საკუთარ კორესპონდენტებისაგან ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ.

გარდაცვალების სწორედ წინა დღით ავადმყოფს გაუმჯობესება დაეტყო. ეს ცნობა გაზეთებმა აწყვეს და გულდამშვიდებით შეუდგენ მორიგი ჩვეულებრივი ნომრის გამოშვებას. რადგან არავის ჰქუაშიც არ მოსვლია, რომ ავადმყოფის საბედისწერო დღე დამდგარი იყო. იმ დღეს ნაშუადღევს გარდაიცვალა ლ. ტოლსტოი.

კორესპონდენტებმა აფრინეს სასწრაფო ცნობები თავიანთ რედაქციებში მომხდარი უბედურების შესახებ. ეს ცნობა მოსკოვმა დილის 5-6 საათზე მიიღო. ბევრი გაზეთები უკვე გამოსული იყო მანქანიდან, ნაწილის ბეჭდვა კი ის იყო სრულდებოდა. სამაგიეროთ აღმოჩნდა ერთი ყველაზე წინდახედული, წინად არც ისე პოპულიარული გაზეთის რედაქცია, რომელმაც ცნობა მაშინ მიიღო, როცა ტირაჟის ერთი მესამედი იყო მხოლოდ გავლილი მანქანაში.

მაშინვე მოიხსნა აწყობილი მორიგი ნომერი და მანქანაზე შეაგდეს სამგლოვიარო გაზეთი. მეორე დღეს ყველა რედაქციები სახტად დარჩა. მაშინ, როცა სხვა გაზეთებში კრინტი არ იყო დაძრული ასეთ მნიშვნელოვან შემთხვევის შესახებ, ბედნიერ რედაქციის გაზეთი მთლიანად სამგლოვიაროთ იყო მოკაზმული და მკითხველები მას ხელიდან ხელში იტაცებდენ. ამის შემდეგ [illegible] აიწია და გაიზარდა ამ გაზეთის ტირაჟი.

ეს მაგალითი საუკეთესო ილუსტრაციაა ბურჟუაზიულ პრესის კონკურენციის დასახასიათებლათ. კაცი მხოლოდ ავათ გახდა და რედაქციები უკვე შავებით შემოსნენ. ადვილი წარმოსადგენია რანაირი გრძნობით იწერებოდა ნეკროლოგები ვარაუდათ გარდაცვლილ დიდი მწერალის დაკარგვის შესახებ. რომ ავადმყოფი ბედს არ გაეწირა და ცოცხალი დარჩენილიყო, არავინ იჯავრებდა მის გამომრთელებას ტირილისთვის მომზადილ რედაქციებისა [illegible]. საზოგა[illegible]

წერილი ისედაც გაგვიგრძელდა და ამიტომ ჩვენ არ შევჩერდებით ბურჟუაზიულ პრესის სხვა, ამაზე არანაკლებ დამახასიათებელ მაგალითებზე.

ჩვენ ვთქვით, რომ კონკურენციას ადგილი აქვს საბჭოთა პრესის მუშაობაშიაც. ცხადია ჩვენი კონკურენცია სულ სხვა მიზანს ემსახურება, ვინემ ბურჟუაზიული. გაზეთი ჩვენში კერძო გამომცემლობა არაა და არც მოგების წყარო. ის პარტიისა და ხელისუფლების ორგანოა, ის მასის ორგანიზატორი და გამათვითცნობიერებელია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენმა გაზეთებმა მასალის შერჩევის, ცნობების რაც შეიძლება სრულად შეკრების და სისწრაფით მიწოდების მხრივ, ენერგია მოადუნონ და ცხოვრებას უკან ჩამორჩენ.

ეს საჭიროა არა ჟურნალისტურ თავმოყვარეობის მოსაზრებით, არამედ ამას ითხოვს გაზეთისგან საქმე. ზოგჯერ ერთი დღით დაგვიანებულ ცნობას—ერთი წლის და მეტის ზარალის გამოწვევაც შეუძლია. ამიტომ ჯანსაღი შეჯიბრება, რომელიც მიზნათ ისახავს გაზეთის თვისობრივ გაუმჯობესებას ამ სიტყვის ყოველმხრივი მნიშვნელობით, სასარგებლო თუა საბჭოთა გაზეთისათვის, თორემ არა საზარალო.

⁂

მაგრამ მარტო მასალის დამზადება-შერჩევა კიდევ არ ნიშნავს, რომ გაზეთი უკვე მზათაა. დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას **თუ რას მიაწოდებ** მკითხველს, არამედ იმასაც თუ **როგორ მიაწოდებ.** აქ რედაქციის წინაშე ისმება კითხვა მასალის დალაგების შესახებ (**верстка газеты**), რასაც ჩვენ გაზეთის შეკვრას ვეძახით.

საამისოთ რედაქციას ჰყავს სპეციალური თანამშრომელი, რომელსაც გაზეთის გამომშვები ეწოდება. ის ცხადდება სამუშაოზე საღამოს ცხრა საათიდან, როცა დღიური მთავარი მასალა უკვე აწყობილია და იწყებს გაზეთის შეკვრას. როგორც მდიდარი სურსათ-სანოვაგის პატრონს ახალგაზრდა დიასახლისს შეუძლია გააუბადრაქოს სუფრა თავისი გამოუცდელობით, ისე უნიათო და მოუმზადებელ გამომშვებს, შეუძლია წაახდინოს გაზეთი, რაც უნდა ძვირფასი მასალა ჰქონდეს მას ჩაბარებული რედაქციისაგან.

წერილების დალაგების რიგს ადგენს სამდივნო, რომლის მიხედვითაც მუშაობს გამომშვები. მაგრამ რიგს გარდა საჭიროა კიდევ საკუთარი ინიციატივის შეტანა საქმეში, რომ ყოველგვარ მასალას თავისი ადგილი ჰქონდეს. ეს დიდ გამოცდილებას და ხელოვნებას ითხოვს. განსაკუთრებით ძნელია გამომშვების მუშაობა ქართულ შრიფტზე, რადგან ჩვენი შრიფტის გარნიტურა ევროპის სხვა შრიფტებთან შედარებით ერთობ ღარიბია.

მიუხედავათ ამისა ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ გაზეთის აწყობა დალაგების მხრივ საბჭოთა გაზეთები გაცილებით წინ უსწრებენ წინათ გამოსულ ყველა ქართულ გაზეთებს.

⁂

დაგვრჩა კიდევ რამდენიმე სიტყვა კორექტურის შესახებ. გაზეთს ჰყავს კორექტორები. აწყობის დროს დაშვებულ შეცდომათა გამსწორებლების შტატი. მაგრამ საქმეს ეს მაინც არ შველის. მკითხველმა ალბათ იცის, რომ კორექტურული შეცდომა არც ისე იშვიათი მოვლენაა ჩვენს გაზეთში. ამის გამომწვევი მიზეზებია: მუ[illegible]

მუშაობის განსაკუთრებული პირობები მდგომარეობს იმაში, რომ გაზეთი იძულებულია განსაზღვრულ ვადისათვის დაასრულოს ყოველგვარი მუშაობა, რომ დროზე გამოვიდეს სტამბიდან. ეს სიჩქარე და გაზეთის დაგვიანების შიში, ბუნებრივათ შეუძლებლათ ხდის ყველა შემჩნეულ და შეუმჩნეველ შეცდომათა გასწორებას.

ენის დაუმუშავებლობათ მიგვაჩნია ჩვენ ისეთი ფაქტები, როცა არ არსებობს ერთხელ და საბოლოოთ მიღებული, ლიტერატურულათ დაკანონებული გამოთქმები, რასაც ცხადია გაუგებრობაში შეჰყავს კორექტურა. აი რამდენიმე მაგალითიც: განათავისუფლეს = გაანთავისუფლეს; მიწადმოწყობა—მიწათმოწყობა; ერთი მხრივ ერთი მხრით; წავიდნენ—წავიდენ და მრავალი სხვა.

ყოველივე ამას დაუმატეთ კორექტურის უნებლიე შეცდომა, რაიც დასაშვებია ყოველგვარ მუშაობაში, და აშკარა გახდება, თუ რატომ ქართულ პრესაში განსაკუთრებით ხშირია კორექტურული შეცდომები. მიუხედავათ ამისა, რედაქცია ყოველგვარ ზომებს იღებს კორექტურის თავის სიმაღლეზე დაყენებისათვის და სრული საბუთი გვაქვს ვიმედოვნოთ, რომ ამ მხრივ მდგომარეობა გამოსწორდება, როცა ახალი სტამბა, სადაც ეხლა ჩვენი გაზეთი იბეჭდება, საბოლოოთ მოეწყობა და რედაქციის განკარგულებაშიაც უფრო მეტი დრო დარჩება გაზეთის დასამუშავებლად.

⁂

საგაზეთო მუშაობამ დრო და საათი არ იცის. საქმისადმი გულშემატკივარ გაზეთის მუშაკისათვის სამაცადინო დრო განსაზღვრული არაა. ის ყოველთვის და ყველაფრის შესახვედრათ მზათ უნდა იყვეს. ყოფილა შემთხვევები, და არც ისე იშვიათი, კერძოთ ჩვენი რედაქციის მუშაობაშიც, როცა დილიდან სამუშაოთ წასული გაზეთის მუშაკები დაბრუნებულან სახლში მეორე დღეს დილით, როცა შინაურები უკვე საუზმისათვის ემზადებოდენ.

ასეთი დაჭიმული მუშაობა სწარმოებს გაზეთში რაიმე მნიშვნელოვან ყრილობის, ან სასამართლოს პროცესის, ან კამპანიის ჩატარების დროს. დიდ ენერგიას ითხოვს გაზეთის მუშაკებიდან დღესასწაულების ჩატარებაც. ამ მხრივ, როგორც ვიცით, ჩვენ ერთობ მდიდარი ვართ. მარტო მიმდინარე წლის იანვრიდან თბილისის გაზეთებმა გამოუშვა 12 სადღესასწაულო ნომრები.

ეს არც ისე პატარა საკითხია. იუბილეების და დღესასწაულების სიმრავლეზე ამას წინათ ამხ. რიკოვიც ლაპარაკობდა. ხშირი დღესასწაულები ქმნიან საზეიმო სულისკვეთებას, რაც ხელს უშლის საქმიან მუშაობას. გარდა ამისა, იუბილე-დღესასწაულებისათვის მომზადებში იკარგება დრო და ენერგია. ამას დაუმატოთ კიდევ ის ნივთიერი ხარჯები, რომელიც თან სდევს ყოველგვარ უქმეების ჩატარებას და თქვენთვის აშკარა შეიქნება, რამდენათ საზიანოა ჩვენთვის ასეთი ხშირი ზეიმობა.

გაზეთი კი ყველაზე მეტად თავის-თავზე განიცდის ამ მავნებლობის სიმძიმეს. ყველა უქმე მისთვის სავალდებულოა, ყველა დღესასწაულს უნდა გამოეხმაუროს ის. ამიტომ დროა უქმეების და იუბილეების რიცხვის შემცირებაზე ვიფიქროთ. ჩვენ არ ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, დღესასწაულების გაუქმებაზე. [illegible]

ჩვენი აზრით, შეიძლება რამდენიმე უქმეების გაერთიანება, რაც პრინციპიალურადაც დასაშვებია და პრაქტიკულადაც მიზანშეწონილი. ამას გვიკარნახებს ჩვენ აგრეთვე მომჭირნეობის რეჟიმი, რომელიც დღეს უაღრეს მნიშვნელობის ამოცანათაა აღიარებული.

⁂

ჩვენ ვთქვით, რომ გაზეთის მუშაკისათვის განსაზღვრული სამუშაო დრო არ არსებობს. თუ აქ იუბილეებზე და დღესასწაულებზე შევჩერდით, მხოლოდ იმიტომ, რომ ხაზი გაგვესვა იმ გარემოებაზე, თუ როგორ ართულებენ დღესასწაულები რედაქციის ისედაც გახურებულ მუშაობას. ამ უქმე-დღესასწაულების გარეშეც გაზეთის მუშაკმა არ იცის მოსვენება დილიდან-დილამდე.

რაც უნდა კმაყოფილი არ იყვეს ის თავის დღიური მუშაობით, მას არ შეუძლია სულიერათ მოისვენოს, სანამ არ დახედავს უკვე დაბეჭდილ, მანქანიდან გამოსულ გაზეთის მორიგ ნომერს. ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგაზეთო მასალის იდეურ და ლიტერატურულათ დამუშავების გარდა, არის კიდევ სხვა სამუშაო: აწყობა, კორექტურა, შეკვრა და დაბეჭდვა, რასაც ხშირათ შეუძლია სრულიად გააუფერულოს გაზეთი, თუ რომელიმე ამ საფეხურზე საქმე შეფერხდა.

ამიტომ სამუშაო დღე რედაქციაში იწყება გაზეთის გადათვალიერებით. ეს გადათვალიერება ხდება, როგორც გაზეთის დამოუკიდებლათ შემოწმებით, ისე მისი სხვა გაზეთებთან შედარებით. ყოველ დღე დილით თათბირობენ რედაქციის მუშაკები ახლად გამოსულ ნომრის შესახებ და მხოლოდ შემდეგ უდგებიან სხვა მუშაობას.

პირველი, რაც ყველაზე მეტად იპყრობს ყურადღებას გაზეთის გადასინჯვის დროს—ესაა მასალის გამოტოვება. არის შემთხვევები, როცა გაზეთი ვერ იტევს წინა დღით ყველა გადაცემულ მასალას და ნომერი გამოდის საყურადღებო ცნობებს მოკლებული. მაშინ, როცა ეს ცნობები სხვა გაზეთებში დაბეჭდილია. ან ხდება წინააღმდეგი, როცა შენს გაზეთში არის ისეთი ცნობები, რომელიც სხვა გაზეთებს არ გააჩნიათ.

ამას გარდა შემოწმების დროს ყურადღება ექცევა შეკვრას, თუ რამდენად მოხერხებულათაა დაყენებული მასალები; კორექტურას, რომ შეცდომები არ იყვეს; ნაბეჭდს, რომ ვერდები ან სტრიქონები სალბავით გასვრილი არ იყვეს და კითხვას არ აძნელებდენ.

ამრიგათ შრომა და დრო დიდი იხარჯება გაზეთზე. ამავე დროს იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი ფაქიზი და მალე გასაფუჭებელი საქონელი, როგორიც გაზეთია. ხშირათ წაკითხვის შემდეგ ის უბრალო ქაღალდათ იქცევა ხოლმე. გაზეთს მანამდე აქვს ფასი, სანამ ის წაუკითხავია.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, გაზეთი უძლიერეს ორგანიზაციულ იარაღს წარმოადგენს საზოგადოებრივ აზრის გამომუშავებაში და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით განუზომელია საბჭოთა წყობილების პირობებში.

აქედან აშკარაა ის პასუხისმგებლობა, რომელიც თვითეულ გაზეთის მუშაკს ეკისრება, რაც უნდა უმნიშვნელო საქმეს ასრულებდეს ის. აქედან გასაგებია ის მოწიწება, რომლითაც ის ეკიდება თავის მოვალეობას.

ვანი.

წარსული და აწინდელი

(საქ. პროლეტ. მწერალთა კონფერენციის გამო)

ჩვენში პროლეტარული მწერლობის უახლოეს დასაწყისად უნდა ჩაითვალოს საქართველოს გასაბჭოებამდე ნახევრად ლეგალურ გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოსული ლიტერატურული ძალების პირველად ამუშავება.

ჩვენი პროლეტარული პოეტები, ეს ოქტომბრის რევოლიუციის პირველი მერცხლებია საქართველოში, რამდენადაც სიტყვა ეხება პროლეტარულ ლიტერატურას. ისინი ამ გაზეთის ფურცლებზე ახდენენ თავის, ასე ვსთქვათ, პირველს დებიუტს, რადგანაც სხვა შესაძლებლობა მაშინ არ მოგვეპოვებოდა.

პროლეტარული სიტყვა-კაზმული ლიტერატურა იქმნება სოციალისტური იდეალებით გამსჭვალულ ლიტერატურის, მუშათა კლასის ჯერ კიდევ სტიქიურ მოძრაობის მიერ შექმნილ ლიტერატურასთან შედუღებით და მისი ბუნებრივი განგრძობა-განვითარებით. აქ ჩვენ გვინდა და დღემდი კიდევ ნაწილობრივ შეგვრჩენია ერთი მხრივ დემოკრატიული ლიტერატურა (ევდოშვილი და სხვა) და მეორე მხრივ მშრომელთა ჭირ-ვარამის გამომხატველი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მეოთხე წოდების“ გულის მესაიდუმლეთა მგოსნობა (დავითაშვილი და სხ.), რომელიც სოციალისტურ იდეებს საკმაოთ ვერ შეზრდია და შეიცავს ეგრედ წოდებულ „მახაევისებურ“ მოძღვრებათა ზოგ გამოხატულებას ჩვენში.

პროლეტარიატის კულტურის ნაყოფიერი და ფართოდ გაშლილი მუშაობა ეს მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის ხანაშია შესაძლებელი და აი, ეხლა, როცა დღის წესრიგში დგება „კულტურული რევოლიუციის“ (ლენინი) საკითხი, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, პროლეტარიატის მრავალ კულტურულ ორგანიზაციათა შორის წარმოიშვა „პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“ (პირველი, რომელიც შემდეგ კავშირად შეიცვალა).

მას შემდეგ, გავიდა 5 წელი. ამ საკმაოდ ხანგრძლივ მანძილზე ჩვენმა პროლეტარულმა ლიტერატურამ განვითარებისა და „კრიზისების“ რამდენიმე საფეხურზე განვლო.

პირველი საფეხური: პროლეტარული მწერლები იკრიბებიან „პროლეტ[illegible]“. [illegible] იცემა ჟურნალი „ქურა“. ეს იყო რუსეთ. პროლეტარმწერალთა „კუზნიცას“ მზგავსი მოვლენა.

ამ პერიოდის ლიტერატურული სახე ასეთია: რევოლიუციონურ ბრძოლათა გამოძახილი, ინტერნაციონალურ პროლეტარულ რევოლიუციის მოტივები, კლასობრივი ბრძოლისა და მისი მოსალოდნელი შედეგების იდეალიზაცია და სხ. ფორმალურად ეს იყო სუსტი ეკლეკტივიზმი, ორგანიზაციულად იგი თითქმის კარჩაკეტილ ვიწრო ჯგუფს წარმოადგენდა. პროლეტარული ლიტერატურა ბურჟუაზიულის კატეგორიულად მოპირდაპირე მოვლენად (ანტიპოდი) იყო აღიარებული და მასში ბოგდანოვის ანტილენინური მსოფლ-მხედველობა ბატონობდა.

მეორე საფეხური პირველის დასასრული იყო ორგანიზაციულად, ხოლო პრინციპიალურად იგი თითქმის ახალს არაფერს შეიცავდა. პროლეტარულ მწერალთა ჯგუფი გამოეყო „პროლეტკულტს“ და დაარსა კავშირი—„საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის“ სახელწოდებით. იგი ჯერ კიდევ ვერ იყო სავსებით თავისუფალი „პროლეტკულტური“ სენისაგან და თავის შემოქმედებაში გაჟღენთილი იყო სამოქალაქო ომის თოფის წამლის სუნით. შეიძლება ამ სნეულებათაგან ის თანდათანი განვითარებითაც განთავისუფლებულიყო, რომ, ზოგიერთ მიზეზების გამო, პირველი თავისი აყვავების პერიოდის შემდეგ, იგი ერთნაირი ხელოვნური „კრიზისის“ სფეროში არ მოქცეულიყო (ორიონის ხვედრი).

და აი, დაიწყო ისევ „უგზო-უკვლოდ ხეტიალი“; თითქმის რუსეთში უკვე განვლილ „მოტივთა გადამღერება“, ქარხნის გადაჭარბებული იდეალიზაცია, მისტიკა, მსოფლიო—„კოსმიურობა“ და სხვა ავადმყოფურ მიდრეკილებათა ხანა.

დადებითი ამ „კრიზისის“ პერიოდში იყო ის, რომ მოხდა ბოგდანოვის თეორიიდან ლენინიზმისაკენ დახევა და ორგანიზაციაც ნაწილობრივ გაფართოვდა. ეს იყო ზოგ პროლეტარულ მწერალთა ცალკე წიგნაკებისა, გაზეთების: „ქარხნის მანგებისა“ და „ორიონის“ გამოცემათა ხანა.

მესამე საფეხური. მეორე პერიოდის კრიზის[illegible] უნდა დასრულებულიყო [illegible] ბუნებრივად მოგვცა კომკავშირმა. ამ ძალთა აღზრდის საქმეში უეჭველად დიდი როლი ითამაშა კომკავშირის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფმა და, მაშასადამე, პროლეტარულ მწერლობაში ყველა დღემდე არსებულ „კრიზისებისა“ და სნეულებათა გარეშე მდგომმა ჟურნალმა, „მომავალმა“.

კომკავშირის ამ ახალგაზრდა ძალებს გამოეხმაურა პროლეტარულ ლიტერატურ. მუდამ რევოლიუციონურად განწყობილი ნაწილი პროლეტმწერალთა კავშირიდან. გადახალისებას საბაბი მისცა და გზა უჩვენა პროლეტარული მწერლობის ახალმა ფრონტმა („პროლემაფმა“). აქედან იწყება პროლეტარული ლიტერატურის ახალი გზების მოპოვების ცდა (1924—1925 წ.).

„პროლემაფმა“ წამოაყენა ლოზუნგები: მშრომელი მასების ყოფის კონკრეტიულად ასახვისა, პროლეტარული ლიტერატურის თვისობრივ გაუმჯობესების (ფორმა), პროლეტარულ მწერლობაში პარტიული ხაზის მტკიცეთ გატარებისა და ფართო პროლეტმწერალთა ორგანიზაციის შესახებ.

